

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

თეონა გოგიტიძე

თანამშრომლობითი უნარის განვითარება მოსწავლეებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში
განათლების აკადემიური დოქტორი

ბიჭაური

2020

ანოტაცია

განათლების მაგისტრანტ თეონა გოგიტიძის ნაშრომში , - თანამშრომლობითი უნარის განვითარება მოსწავლეებში, განხილულია მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის წარმართვის მიზნით, თანამშრომლობითი სწავლის როლი და უპირატესობანი სასწავლო პროცესში. თანამშრომლობითი სწავლის ტექნიკის გამოყენება ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის. აღწერილია თითოეული მეთოდი და მითითებულია თუ როდის, გაკვეთილის რომელ ეტაპზე იქნას გამოყენებული თითოეული მათგანი.

კვლევის მიზანია გამოკვლევულ და შესწავლილი იქნას რამდენად იყენებს მასწავლებელი სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს, როგორ აქვთ განვითარებული მოსწავლეებს პიროვნული და სოციალური უნარები. როგორ დავებმართოთ მოსწავლეებს ამ უნარების განვითარებაში .

კვლევის ამოცანები თანამშრომლობითი სწავლების უნარების განვითარების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გამოვლენა, მასწავლებლის დახმარება | საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგოს მიდგომები მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარის გასაუმჯობესებლად.

კვლევის მეცნიერული სიახლეა თანამშრომლობითი უნარის გასავითარებლად, მეთოდებისა და მიდგომების შეთავაზება , გზებისა და საშუალებების შერჩევა.

დასკვნები ჩამოყალიბებულია წყაროებისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია მაგალითები, რაც ამაღლებს მათი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.

ნაშრომი განკუთვნილია მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

სტრუქტურა მოიცავს შესავალს, ორ თავს, თორმეტ პარაგრაფს, დასკვნებსა და ლიტერატურის დასახელებას.

Annotation

Thesis of Teona Gogitidze, Master of Education, Development of Collaborative Skills in Students discusses the role and benefits of collaborative learning among students in the learning process. In order to conduct a student-centered lesson, the use of collaborative learning techniques is one of the most effective methods for the student's personal and social development. Each method is described and the course of the methods is indicated, indicating when, at what stage of the lesson each of them will be used.

The aim of the research is to investigate and study the extent to which the teacher uses collaborative learning methods and strategies in the learning process, how students have developed personal and social skills. How to help students develop these skills, how to ensure the development of collaborative skills among students.

Research Objectives: To identify problems that hinder the development of collaborative teaching skills, to help the teacher to introduce approaches to improve pedagogical skills in students in their own pedagogical practice.

The scientific novelty of the research is: offering methods and approaches to develop collaborative skills, selecting ways and means.

Conclusions are drawn based on the analysis of sources and research results. The materials are presented with examples, which raises the possibility of their practical application.

The paper is intended for teachers and students.

შესავალი.....	5
თავი I. თანამშრომლობითი სწავლა/სწავლება.....	7
§1. სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები.....	7
§2. სხვებთან ერთად და მარტო სწავლა: თანამშრომლობითი, კონკურენტული და ინდივიდუალისტური სწავლა.....	12
თავი II. თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.....	14
§1. თანამშრომლობითი სწავლის ზოგიერთი საკითხი.....	14
§2. თანამშრომლობითი სწავლების უპირატესობები.....	16
§ 3. თანამშრომლობითი სწავლების მოდელები.....	Error! Bookmark not defined.
§4. თანამშრომლობითი სწავლება - ერთობლივი თანადროული მუშაობა ონლაინსივრცეში	Error! Bookmark not defined.
§5. მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფის პრინციპები, ჰომოგენური და ჰეტეროგენური დაჯგუფება	Error! Bookmark not defined.
§ 6. პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულების განვითარება მოსწავლეებში.....	Error! Bookmark not defined.
§ 7. ჯგუფური მუშაობის პროცესი.....	Error! Bookmark not defined.
§8. თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები	Error! Bookmark not defined.
§9. თანამშრომლობითი სწავლა და ინდივიდუალური დავალებები ჯგუფში.....	Error! Bookmark not defined.
§10. პოლისტური შეფასება.....	Error! Bookmark not defined.
დასკვნები და რეკომენდაციები	Error! Bookmark not defined.
გამოყენებული ლიტერატურა.....	Error! Bookmark not defined.

შესავალი

თემის აქტუალობა. სწავლა-სწავლების თანამედროვე მოთხოვნების და მიდგომების შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს მოსწავლესა და მოსწავლის შედეგებზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა. მთავარი აქცენტი გაკეთებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. მნიშვნელოვანია გაკვეთილზე თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება. ამ სტრატეგიებს შორის თანამშრომლობითი სწავლა ყველაზე მოქნილი, ეფექტური ორგანიზების ფორმაა, რომელიც ზუსტად მოსწავლეზეა ორიენტირებული. თანამშრომლობითი სწავლის პროცესში ამოსავალი წერტილი მოსწავლეა, ამ დროს იგი უფრო აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში, გააზრებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, სოციალური და პიროვნული თვისებები. დასახული მიზნის მიღწევისთვის მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

კვლევის მიზანი შესწავლილი იქნას რამდენად იყენებს მასწავლებელი სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და სტრატეგიებს, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ამ უნარების განვითარებაში, როგორ უზრუნველყვით მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი უნარის განვითარება. გამოინახოს პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები. კვლევის შედეგებისა და დასკვნების საფუძველზე შემუშავდეს რეკომენდაციები თანამშრომლობითი სწავლის უნარის გასაუმჯობესებლად.

კვლევის ამოცანები: თანამშრომლობითი სწავლების უნარების განვითარების შემაფერხებელი პრობლემების გამოვლენა, მასწავლებლის დახმარება საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგოს მიდგომები მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარის გასაუმჯობესებლად. კვლევის ამოცანაა აგრეთვე, უპასუხოს შემდეგ კითხვებს: სკოლის მოსწავლეებს სრულყოფილად აქვთ თუ არა განვითარებული ერთმანეთს შორის

თანამშრომლობითი სწავლის უნარი საგაკვეთილო პროცესში? იცნობენ თუ არა თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს? როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლის უნარების განვითარებაში?

კვლევის მეთოდები ინტერვიუ, ანკეტური გამოკითხვა, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, ინტერნეტ რესურსების მოძიება, დახარისხება და გამოყენება.

კვლევის მეცნიერული სიახლეა თანამშრომლობითი უნარის გასავითარებლად, მეთოდებისა და მიდგომების შეთავაზება, გზებისა და საშუალებების შერჩევა .

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, 12 პარაგრაფის, დასკვნისა და ლიტერატურის დასახელებისაგან. პირველ თავში - თანამშრომლობითი სწავლა - სწავლება განხილულია სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები და გაანალიზებულია სწავლების ორგანიზების განსხვავებული ფორმები, სხვებთან ერთად და მარტო სწავლა: თანამშრომლობითი, კონკურენტული და ინდივიდუალისტური სწავლა.

მეორე თავში - თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები და სტრატეგიები - საუბარია თანამშრომლობითი სწავლის ზოგიერთ საკითხებზე, თანამშრომლობითი სწავლის უპირატესობებზე, თანმხლებ პროცესებზე, მოდელებზე და მეთოდებზე. ასევე განხილულია მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფის პრინციპები, ჰომოგენური და ჰეტეროგენური დაჯგუფების ვარიაციები, შემოთავაზებულია ონლაინსივრცეში მოსწავლეთა ერთობლივი თანადროული მუშაობის ინსტრუმენტები, რეკომენდაციები მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად, კრიტერიუმები ჰოლისტური შეფასებისათვის.

ბოლოს კი მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი უნარის განვითარებისთვის. დასკვნები გაკეთებულია არსებული ინფორმაციისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

თავი I. თანამშრომლობითი სწავლა/სწავლება

§1. სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები

საგნის სწავლებასთან ერთად მასწავლებელი ხშირად მოსწავლეებს იმასაც ასწავლის, თუ როგორ ისწავლონ. ზოგადად, მასწავლებელს კლასში სამი ძირითადი კატეგორია ხვდება: მოსწავლეები, რომლებიც სხვისი დახმარების გარეშე სწავლობენ; მოსწავლეები რომლებსაც მცირე დახმარება სჭირდებათ და მოსწავლეები, რომლებსაც მნიშვნელოვანი დახმარება სჭირდებათ სწავლაში. მასწავლებლის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც დახმარების გარეშე უჭირთ სწავლა და განუვითაროს მათ დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი უამრავ მეთოდსა და სტრატეგიას იყენებს, ზოგიერთ მოსწავლეზე პირდაპირ და ზოგიერთზე არაპირდაპირ გავლენას ახდენს. თუ სწავლების ერთი ტიპის სტრატეგია აქცენტს მასწავლებლის როლზე აკეთებს, მეორე ტიპის სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს მოსწავლეების მეტად აქტიურობასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. აქედან გამომდინარე მკვლევრები განასხვავებენ სწავლების ორ ტიპს: პირდაპირ და არაპირდაპირ სწავლებას. პირდაპირი სწავლება სწავლების უფრო ტრადიციული ფორმაა, ვიდრე არაპირდაპირი. პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეებს, ხოლო არაპირდაპირი სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია ან მითითებები ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც თავად აგებენ ცოდნას.

პირდაპირი სწავლების დადებითი მხარე ისაა, რომ ის ძალიან ეფექტურია ინფორმაციის მოსწავლეებისთვის სწრაფად გადაცემის თვალსაზრისით. ამიტომ კარგად გამოიყენება ფაქტობრივი ცოდნის გადაცემისას. პირდაპირი სწავლება ნაკლებად ეფექტურია შედარებით მაღალი უნარების, მაგალითად, ანალიზისა და შეფასების უნარების გასავითარებლად. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად გამოიყენება არაპირდაპირი სწავლების მეთოდები, რომლებიც მოსწავლეს უფრო მეტ სტიმულს აძლევს, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს, გაანალიზოს, დაასკვნას და განაზოგადოს. გარდა ამისა, არაპირდაპირი სწავლებით მოსწავლეს კვლევა-ძიებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარები უვითარდება.

საგულისხმოა, რომ პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების მეთოდებს შორის მკაცრი ხაზის გავლება მიზანშეწონილი არ არის. ხშირად ორივე სტრატეგია ერთი და იმავე გაკვეთილის განმავლობაში შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა. მაგალითად: მასწავლებელმა გაკვეთილი შეიძლება ლექციური მეთოდით დაიწყოს და ამ გზით მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს, ხოლო გაკვეთილის მეორე ნახევარში გამოიყენოს მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდი. ის, თუ რომელი მეთოდი უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ამა თუ იმ გაკვეთილზე, დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე. როგორცაა მაგალითად: საგანი, მოსწავლეთა ასაკი, კონკრეტული სასწავლო მიზანი, სწავლების საფეხური, კლასი, მოსწავლეების ტიპი, დრო და ა.შ. ამასთან, სწავლების სტრატეგიების ცვლა დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციაზე და სასწავლო სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის.

პირდაპირი სწავლების მეთოდს ხშირად კლასის ერთობლივი სწავლების მეთოდსაც უწოდებენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ტიპის სწავლებისას მასწავლებელი მთელ კლასთან ერთდროულად მუშაობს და ყველა მოსწავლეს ერთდროულად აწვდის მასალას. პირდაპირი სწავლების მრავალ სახეს შორის არსებობს ყველაზე მეტად გავრცელებული ლექცია, რომელსაც სხვადასხვა სიხშირით ყველა მასწავლებელი იყენებს.

ლექციის ტიპის გაკვეთილს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომლების მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. ლექციის ტიპის გაკვეთილის დადებითი მხარეა ის, რომ ეს მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს დიდი მოცულობის ინფორმაცია ერთად მიაწოდოს მოსწავლეებს, ასევე ეფექტურად შეაჯამოს გაკვეთილი. ლექციის მეთოდის გამოყენება გაკვეთილზე დროს აზოგვინებს მასწავლებელს, თუმცა გაკვეთილამდე სერიოზულ მომზადებასა და დაგეგმვას საჭიროებს. ლექციის მეთოდის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამ მიდგომით მოსწავლეები პასიურად სწავლობენ, ასევე დაბალია მოსწავლეთა ჩართულობის დონე. ლექციის ტიპის გაკვეთილი ხშირად მოსაწყენია მოსწავლეებისთვის, რის გამოც ხშირად მათ დაბალი მოტივაცია აქვთ და დიდია ასევე დისციპლინის დარღვევის ალბათობა.

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადად პირდაპირი სწავლების მეთოდით გაკვეთილის ჩატარების ეფექტურობას. აუცილებელია გაკვეთილი

კარგად იყოს სტრუქტურირებული და მიზნები მკაფიოდ განსაზღვრული. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას ძირითად საკითხებს და გაკვეთილის ბოლოს შეაჯამოს მთავარი მასალა.

ტრადიციულ გაკვეთილზე მასწავლებელი ახალ მასალას უხსნის მთელ კლასს ერთდროულად. მასალის ახსნის პროცესში კონკრეტულმა მოსწავლემ გაიგო თუ არა რამე, გაირკვევა შემდეგ გაკვეთილზე, საშინაო დავალების შემოწმებისას. თუ აღმოჩნდება რომ ვერ გაიგო, მიიღებს არადამაკმაყოფილებელ ნიშანს და ითვლება, რომ ეს მისი ბრალია, რადგან არ მოისმინა სათანადოდ ახსნილი მასალა. მოსწავლე კლასში ბევრია და მასწავლებელს ყველასთვის დრო არ რჩება.

სწავლების ტრადიციული მეთოდებით

- აქტივობები ძირითადად დაფუძნებულია სახელმძღვანელოებზე.
- მასალის განხილვა იწყება მისი ნაწილების მიმოხილვით და შემდეგ ხდება მისი, როგორც ერთი მთლიანის ანალიზი.
- მასწავლებელი მკაცრად მიჰყვება დადგენილ სასწავლო პროგრამას.
- მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს მასალას.
- მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეებმა კითხვებს სწორი” პასუხი გასცენ.
- შეფასება განიხილება, როგორც სწავლის პროცესში შემავალი ცალკეული აქტივობა და ძირითადად ხორციელდება ტესტირების, ზეპირი გამოცდისა და წერის გზით.

უახლესმა ტექნოლოგიურმა მიდგომებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სწავლა/სწავლების მიდგომები. დღეს მნიშვნელოვანია გაკვეთილის დაგეგმვა მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, სადაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობა და საჭიროება იქნება გათვალისწინებული. დღევანდელი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, სადაც მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში და მასწავლებლის დახმარებით თანამედროვე მიდგომების მიხედვით იძენენ ცოდნას.

სწავლების პროცესში პედაგოგს უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, რადგან შეუძლებელია კონკრეტული საკითხის შესწავლა მხოლოდ ერთი მეთოდით. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები

ერთმანეთს ავსებს. არსებობს მეთოდების მრავალგვარი კლასიფიკაცია, რომლებსაც მასწავლებელი კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე შეარჩევს.

1. დისკუსია/დებატები - ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. ეს მეთოდი განსაკუთრებით უწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას სასწავლო პროცესში.

2. თანამშრომლობითი სწავლება - ამ მეთოდის გამოყენებისას ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში.

3. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდის სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრს, შესაძლებელია ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების წინასწარი გადანაწილება. ეს მეთოდი ეფექტურია ყველა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება - მეთოდი მოსწავლეს აყენებს აქტიური შემმეცნებლის როლში, რომელსაც წამოჭრილ პრობლემასთან გამკლავება უხდება.

5. გონებრივი იერიში - ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში ეფექტიანია ამ მეთოდის გამოყენება. შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- კვლევის იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასახულ საკითხს;

6. როლური და სიტუაციური თამაშები- მეთოდი მოსწავლეს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში, ეს თამაშები უყალიბებს მოსწავლეს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმასა და დაცვის უნარს.

7. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - პედაგოგისა და მოსწავლის აქტიური ჩართულობა სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვა აქვს თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენებას.

8. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;

- სწავლების ინდუქციური მეთოდი გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას კერძო/კონკრეტული ფაქტობიდან ზოგადისაკენ.

- რაც შეეხება სწავლების დედუქციურ მეთოდს, განსხვავებით ინდუქციური მეთოდისგან ითვალისწინებს ცოდნის გაცემის ისეთ გზას, რომელიც მიმართულია ზოგადიდან კერძოსაკენ.

- ანალიზის მეთოდი - გვეხმარება გავამარტივოთ რთული სასწავლო მასალა და დავყოთ ნაწილებად. ეს პროცესი ამარტივებს რთულად გასაგები მასალის შემეცნებას.

- სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ანალიზის მეთოდის შებრუნებულ მოქმედებას. ანუ სინთეზის მეთოდის გამოყენების დროს ცალკეული საკითხები ჯგუფდება და ერთი მთლიანის სახით წარმოჩინდება. ეს ხელს უწყობს საკითხის, როგორც ერთი მთლიანის აღქმას.

9. პრაქტიკული მეთოდები- ამ შემთხვევაში მოსწავლე შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას.

10. პროექტები - მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი და დამოუკიდებლად წარმოებული სამუშაო, რომლის დროსაც შეუძლიათ წარმოადგინონ გამოკვლევის, მოხსენების, ნახატის, შექმნილი პროდუქტის (საგნის) სახით და ა.შ

11. ელექტრონული სწავლება - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიაური საშუალებებით. სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს მოიცავს

(მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვა.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება სამი სახისაა:

- დასწრებული, სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. პედაგოგისა და მოსწავლის საკონტაქტო საათების ფარგლებში
- დისტანციური სწავლება, სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს, სასწავლო პროცესი წარიმართება მასწავლებლის ფიზიკური დასწრების გარეშე.

§2. სხვებთან ერთად და მართო სწავლა: თანამშრომლობითი, კონკურენტული და ინდივიდუალისტური სწავლა

თანამშრომლობითი სწავლება - სწავლების ყველაზე თანამედროვე ფორმაა, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. იგი მიმართულია ჯგუფური მუშაობისაკენ, რომელიც მოითხოვს მონაწილეთა კოორდინირებული მუშაობით პრობლემის ერთობლივად გადაჭრას და საერთო მიზნის მიღწევას. თანამშრომლობითი სწავლების დროს, დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, მოსწავლეებს უვითარდებათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური - პასუხისმგებლობა. ამ დროს თითოეული მათგანი პასუხს აგებს არა მართო საკუთარ თავსა და კეთილდღეობაზე, არამედ ჯგუფსა და მის წარმატებაზე. თანამშრომლობითი სწავლა/სწავლების პროცესის ამოსავალი წერტილი მოსწავლეა, მასწავლებელს კი დამკვირვებლის როლი ენიჭება.

თანამშრომლობითი სწავლება - სწავლების ამ სტრატეგიის გამოყენების პროცესში ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

რაც შეეხება კონკურენტულ სწავლებას- კონკურენცია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს სწრაფად მიაღწიონ შედეგს. ხელს უწყობს მოსწავლეებში სწრაფი

აზროვნების განვითარებას და სტიმულს აძლევს მათ წინსვლასა და პროგრესს, მოსწავლეებს უჩნდებათ ლიდერობის სურვილი.

კონკურენტული სწავლება საგრძნობლად უწყოს ხელს მოსწავლეებში სასწავლო მოტივაციის ზრდას, რაც, სწავლა სწავლების ეფექტიანობას ამაღლებს, მაგრამ მისი გამოყენებისას გასათვალისწინებელია დადებით მომენტებთან ერთად თანმხლები საფრთხეებიც. არსებობს სერიოზული საფრთხე, კონკურენტული სწავლებისას ამ ფორმის სისტემატურმა გამოყენებამ ბავშვს, რომელიც მარცხს განიცდის, შეიძლება თვითშეფასება და საკუთარი ძალების რწმენა დაუქვეითოს, რაც მის სასწავლო მოტივაციაზე უარყოფითად აისახება და სწავლისადმი ინტერესს დააკარგვინებს და წარმატებული ვერ იქნება.

მუდმივმა მარცხმა ბავშვი შესაძლოა უარყოფითად განაწყოს თანაკლასელების მიმართ, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს განსაზღვრულ დროში დავალების შესრულებას და მასწავლებლის ქებას იმსახურებენ, ამ დროს კლასში წარმოიქმნება დაძაბული სიტუაცია, რაც უარყოფითად იმოქმედებს სასწავლო მოტივაციასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობაზე.

სწავლების ამ ფორმის გამოყენებისას რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინებაა საჭირო;

- იშვიათად გამოვიყენოთ სწავლების კონკურენტული ფორმა, მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში.
- საგანგებოდ მომზადებაა საჭირო იმ გაკვეთილისთვის, რომელზეც სწავლების ამ ფორმის გამოყენებას ვაპირებთ.
- წინასწარ ვიფიქროთ სირთულეებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სწავლების პროცესში და შევძლოთ მათი დაძლევა.
- გაკვეთილის ჩატარებისას კი გავიაროთ ყველა ეტაპი მომზადების, შეჯამების, არცერთი არ გამოვტოვოთ.
- დამარცხებულ ბავშვს ან ჯგუფს ნუ დავტოვებთ საკუთარ ემოციებთან მარტოს, უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლებაში დავეხმაროთ.

- სწავლების კონკრეტული ფორმის გამოყენების დროს სასურველია შეჯიბრება ჯგუფებს შორის იმართებოდეს და არა ცალკეულ მოსწავლეებს შორის. ასეთ დროს ბავშვს ავარიდებთ მარცხის გადატანას და თავს უფრო დაცულად იგრძნობს.

ინდივიდუალისტური სწავლა. კონსტრუქტივისტული დიდაქტიკა მიისწრაფის, ასწავლოს მოსწავლეს დამოუკიდებლად სწავლა, რაც ცხოვრებაში წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამისთვის აუცილებელია, მოსწავლემ იცოდეს, როგორ გამოიყენოს შეძენილი ცოდნა თუ სასწავლო სტრატეგიები, იცოდეს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომ შეძლოს ძლიერი მხარეები პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენოს და დაძლიოს სისუსტეები. მოსწავლეებს რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები ფლობენ სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, თვითრეგულირებად მოსწავლეებს სწავლის მიზანი და მოტივაცია უფრო მეტად აქვთ განვითარებულ, ისინი გამუდმებით ეძებენ ახალ გამოწვევებს და სირთულესთან შეჯახება არ აშინებთ.

თავი II. თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები

§1. თანამშრომლობითი სწავლის ზოგიერთი საკითხი

ბოლონიის პროცესთან შეერთების შემდეგ, საქართველოს განათლების სისტემამ, მიმდინარე რეფორმების საფუძველზე ცვლილებები განიცადა. ცვლილებები განხორციელდა გაკვეთილზე სწავლების მიზნების, ამოცანების, პრინციპებისა და მეთოდოლოგიის მიმართულებით. მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების გააქტიურებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის გამოყენების საკითხი დღის წესრიგში დადგა, გაკვეთილზე ფაქტობრივი ცოდნის დაგროვება დინამიური და გამოყენებადი ცოდნის შეძენის მოთხოვნამ ჩაანაცვლა.

შესაბამისად, აქამდე სკოლებში გაბატონებულ ტრადიციულ გაკვეთილს დაუპირისპირდა სწავლების ახლი მეთოდებით და ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროცესი, რომელიც მოსწავლის აქტიურ ჩართვას მოითხოვს საგაკვეთილო პროცესში,

აქტიური სწავლების დროს მოსწავლე სუბიექტად იქცევა, რომელსაც გაცნობიერებული აქვს სწავლის საჭიროება და მნიშვნელობა; სწავლების ეს მიდგომა მიზნად ისახავს ავტორიტარული საგაკვეთილო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესით. აქტიური სწავლება ზრდის მოსწავლის პასუხისმგებლობას სწავლის მიმართ, ეს კი ააქტიურებს სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობას.

ამ თვალსაზრისით XXI საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა: კ. მურის, დ. მოუჯის, დ. რეინოლდსის, ქ. მერიდითის, ჯ.ჯინჯიხადის, ს.ჯანაშიას და სხვათა შრომები, რომლებშიც საუბარია სწავლების პროცესში აქტიური სწავლების ინოვაციური ფორმების შემოტანის და დანერგვის აუცილებლობა.

საქართველოს განათლების სისტემამ მხარი დაუჭირა ამ ტიპის სწავლების დანერგვას. საქართველოს განათლების ეროვნულ მიზნებში ვკითხულობთ, რომ სწავლება-სწავლა შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს:

- მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებასა და განვითარებას
- ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით
- სწავლის სწავლებას

ჩვენთვის საინტერესოა XIX საუკუნის საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებული საგანმანათლებლო პოლიტიკის კვლევა. ცნობილია, რომ, რუსულ ენაზე სწავლება, უვარგისი შენობები, მასწავლებლების ნაკლებობა, არაპროფესიონალიზმი და სახელმძღვანელოთა ნაკლებობა სწავლის დაბალ დონეს განაპირობებდა. რუსეთმა სცადა იმპერიაში საყოველთაოდ აღიარებული ლანკასტერის მეთოდის” საქართველოს სკოლებში შემოტანა, რომელიც უვარგისი მეთოდი აღმოჩნდა. აკაკი წერეთელი ჩემ თავგადასავალში” გადმოსცემს, რომ ეს მეთოდი ჰქონდა მასწავლებელ ტროეს. ამ მეთოდით მრავალრიცხოვან კლასთან მუშაობა იყო შესაძლებელი. მასწავლებელთა სიმცირით გამოწვეული სიძნელების გადალახვა, ხელისუფლებას ასეთი სწავლება იოლი უჯდებოდა. მწერალი იქვე მიუთითებს, რომ ეს მეთოდები, რომლებიც საქართველოს სკოლებში შემოჰქონდათ, იყო დამამცირებელი და არაფრისმომტანი ახალგაზრდებისთვის; ამასთანავე ეს პროცესი მოსწავლეებს კი არ აყვარებდა, არამედ აიძულებდა სწავლის პროცესს. იმ პირობებში, სადაც მოსწავლეები სრულიად უუფლებო და დაჩაგრულები იყვნენ, არ ჰქონდათ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება,

თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლის აქტიური და თვითმართული, გამოცდილებით სწავლების უნარი. ჯგუფური აქტივობები, იდეების გაცვლა, დასკვნის გამოტანა მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე სწავლებაში.

ჯგუფური და წყვილებში მუშაობის მეთოდით სწავლება მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას გულისხმობს, ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ ჯგუფის დანარჩენ წევრებს. ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის შესაძლებელია მოხდეს როლების გადანაწილება.

ჯგუფში მუშაობა წყვილებში მუშაობით შეიძლება დაკონკრეტდეს, რომელიც ეფექტურია კომუნიკაციის, სხვისი აზრის მოსმენის, კვლევითი უნარების, პატივისცემისა და თავისი მოსაზრების მკაფიოდ წარმოჩენის უნარების ჩამოსაყალიბებლად. ამდენად თანამშრომლობითი ინტერაქცია, პედაგოგს ეხმარება მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევაში ხოლო მოსწავლისათვის ხდება სოციალური მხარდაჭერა, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობის და სწავლის მოტივაციის ამაღლებაში.

§2. თანამშრომლობითი სწავლების უპირატესობა

ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ მოსწავლეები გაცილებით მაღალ ინტელექტუალურ დონეს კოლაბორაციულ გარემოში ავლენენ, ვიდრე დამოუკიდებლად სწავლისას.

ჯონსონის აზრით, თანამშრომლობითი სწავლა უფრო მაღალ პროდუქტიულობას და მიღწევებს უზრუნველყოფს; უფრო მზრუნველობითია, აძლიერებს სოციალურ კომპეტენციებს და თვითშეფასების უნარს.

როგორც აღვნიშნეთ, კოლაბორაციული სწავლის პროცესის მთავარი წარმომადგენლები მოსწავლეები არიან. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს რომ მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლის მეთოდით მიღებულ სასწავლო შედეგებთან მეტი კავშირი აქვთ. თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის განცდა ეუფლებათ და თემაც უკეთ იციან.

ვიგოტსკის თანახმად, თანამშრომლობითი სწავლის პროცესში მოსწავლე ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენს ისეთი პასუხისმგებლობის გაზიარებით, როგორებიცაა: მიზნის მიღწევა, მოსაზრების წარმოჩენა, საკითხის კრიტიკულად განხილვა, სხვისი აზრის მოსმენა, მოსაზრებათა ანალიზი და შერწყმა.

ბევრ მკვლევარს მიაჩნია, რომ თანამშრომლობითი სწავლა მოსწავლის სოციალურ და პიროვნულ განვითარებას უწყობს ხელს. ხშირად არის ხაზგასმული, რომ თანამშრომლობითი სწავლა გარკვეულწილად, პროფესიული გარემოს სიმულაციას წარმოადგენს და მოსწავლეებს დასაქმების ბაზარზე პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარება. კომუნიკაციის, მოსმენის და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების გარდა, მოსწავლეები ემოციებისა და სტრესის მართვასაც სწავლობენ, რომელიც მნიშვნელოვანია პირად და პროფესიულ ცხოვრებაში.


მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის წარმართვის მიზნით, თანამშრომლობითი სწავლის ტექნიკის გამოყენება მასწავლებლისთვის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია. ამ მეთოდის გამოყენებით, მას შეუძლია, სასწავლო მიზნის მისაღწევად დავალება სხვადასხვა ჭრილში შეადგინოს. მოსწავლეს შეიძლება მოვთხოვოთ ინფორმაციის მოკვლევა, გარემოებების ანალიზი და შედარება, ფაქტების შეჯამება, პრობლემის გადაჭრა, საკითხის კრიტიკა და შეფასება, ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენება და ა.შ.

კვლევა - მონაცემთა ანალიზი


თანამშრომლობითი სწავლა/სწავლების არსებული ვითარების გამოკვლევის მიზნით ჩავატარეთ ონლაიგამოკითხვა და ინტერვიუ მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან.

გამოკითხული მოსწავლეების პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:


1. გაკვეთილზე სწავლების რომელ ფორმას იყენებთ უპირატესად?




2. ჯგუფში მუშაობისას შეგიძლია შენი სკოლის მოსწავლეებთან ახლო ურთიერთობების დამყარება?



3. რამდენად აქტიურად მონაწილეობ სასწავლო პროცესში?




4. რამდენად ხშირად იყენებთ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს გაკვეთილზე?



5. უსმენ შენი სკოლის მოსწავლეს, პატივს სცემ მის აზრს?

■ კი შემიძლია ■ ზოგჯერ ■ არ შემიძლია



მონაცემთა ანალიზის საფუძველზე კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლის უნარი სათანადოდ არა აქვთ განვითარებული და ინდივიდუალურ სწავლას ანიჭებენ უპირატესობას. ზოგჯერ გამოხატავენ პატივისცემას თანაგუნდელთა და განსხვავებული აზრის მიმართ. მოსწავლეები ნაწილობრივ იცნობენ თანამშრომლობითი სწავლის მეთოდებს და საგაკვეთილო პროცესში მას ხანდახან იყენებენ.

კვლევის პროცესში პრობლემის შესწავლის მიზნით გამოვიყენე ინტერვიუს მეთოდი მასწავლებლებთან. ინტერვიუ წარიმართა ღია კითხვებზე დაყრდნობით.

გთავაზობთ ინტერვიუს კითხვარს და მეტწილად გაცემულ პასუხებს;

1. როგორ უზრუნველყოფთ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარებას?

უპირველესად ვაძლევთ სწორ ინსტრუქტაჟს თუ რა უნდა გააკეთონ გაკვეთილზე, ვიყენებთ სხვადასხვა მეთოდებს, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციას ამაღლებს. მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის გასავითარებლად ვიყენებთ ჯგუფურ მუშაობას.

2. რამდენად კარგად იცნობთ სწავლების თანამედროვე მეთოდებს/სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებითაც სასწავლო პროცესს გამრავალფეროვნებთ და მოსწავლეებს განუვითარდებათ თანამშრომლობითი უნარები?

ნაწილობრივ ვიცნობ იმ თანამედროვე მეთოდებს რომელთა გამოყენებითაც სასწავლო პროცესი არ იქნება მოსწავლეებისთვის მოსაწყენი, მათ ვიყენებ კიდევ საგაკვეთილო პროცესში, თანამშრომლობითი სწავლების ზოგიერთ მეთოდს ვიცნობ და სიამოვნებით გავეცნობი კიდევ მეტს, რათა სასწავლო პროცესი უფრო სახალისო და საინტერესო გავხადო.

3. თანამშრომლობითი სწავლების რა მეთოდებს იყენებთ სწავლებისას?

ვიყენებ- როლურ თამაშს, პროექტს, ჯგუფურ მუშაობას.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა პრობლემები, დაისახა მოგვარების გზები, შეირჩა ხერხები, სტრატეგიები, შემუშავდა რეკომენდაციები.

§ 3. თანამშრომლობითი სწავლების მოდელები

ჯონსონისა და კაგანის მოდელები თანამშრომლობითი სწავლის ორი გავრცელებული მოდელია.

ჯონსონის თანამშრომლობითი სწავლის საფუძვლებია: პირდაპირი/ცოცხალი ინტერაქცია, სოციალური უნარ-ჩვევები, ჯგუფური ანალიზი და პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება. ცოცხალი ინტერაქცია უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და სასწავლო შედეგების მიღწევას. პოზიციების ეფექტურად გაზიარებას განაპირობებს სოციალური უნარ-ჩვევები, ჯგუფური ანალიზი კი_შედეგიანობას.

ხუთ ძირითად პრინციპს ეფუძნება კაგანის თანამშრომლობითი სწავლის მოდელი , კაგანის მოდელი თავისი მეთოდული განსხვავდება ჯონსონის მოდელისგან. ჯონსონის მოდელი თანამშრომლობითი გაკვეთილის დაგეგმვაზე ამახვილებს ყურადღებას , კაგანის მოდელი კი თანამშრომლობითი მუშაობის ტექნიკაზე,რომელიც სასწავლო პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის მოქმედებას განსაზღვრავს. ჯონსონისგან

განსხვავებით, კაგანი ეწინააღმდეგება კატეგორიულად გუნდის ერთიან შეფასებას, რადგან თვლის, რომ გუნდისათვის საერთო ქულის დაწერა ზოგიერთ მოსწავლეს უსამართლობის განცდას უჩენს და მოტივაციას უქვეითებს.

თანამშრომლობითი სწავლის სტრუქტურული მოდელები:

- ერთობლივი/ჯგუფური სწავლა: ჯგუფური სწავლის მოდელის სხვადასხვა ვარიაცია შეიძლება შესთავაზოს მასწავლებელმა მოსწავლეებს საჭიროების მიხედვით. თავისუფალი განხილვის დროს მოსწავლეები ჯგუფში მსჯელობენ საკითხზე. განხილვაში მონაწილეობა მოსწავლეთ სურვილზეა დამოკიდებული. მოდელირებული განხილვის დროს ჯგუფში ირჩევენ ლიდერს, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების აქტიურ ჩართულობას და საკითხის განხილვას. განხილვის შედეგების გაზიარება ხდება ორ ქვეჯგუფს შორის. რის შედეგადაც ხდება შედეგების შეჯერება და ჯგუფის საერთო აზრის ჩამოყალიბება. დებატების დროს ჯგუფი ორ ნაწილად იყოფა, მოსწავლეები კამათობენ და მსჯელობენ შერჩეულ საკითხზე, დებატების მოდელის გამოყენება ეფექტურია, როცა მოსწავლეებს წინასწარ ვაცნობთ სადებატო საკითხს და დროს ვაძლევთ თავიანთი არგუმენტების ჩამოყალიბებისთვის. ჯგუფური მოკვლევა, მოითხოვს წინასწარ მოსამზადებელ დროს. მოსწავლეები თვითონ ირჩევენ თემას, აწარმოებენ კვლევა-გამომიებას და ქმნიან ერთობლივ პრეზენტაციას. პრეზენტაციის დროს ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს. მასწავლებელი პრეზენტაციის მონაწილეებს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით აფასებს.

- როცა მოსწავლეებს დიდი მოცულობის ინფორმაცია აქვთ ასათვისებელი და გასაანალიზებელი მასწავლებელი იყინებს მატრიცის ტექნიკას. მოსწავლეები ჯგუფში განიხილავენ ბარათებს და განალაგებენ წინასწარ მომზადებულ სქემაზე. ბოლოს მასწავლებელი მათ აჩვენებს სქემის სწორ ვერსიას. ჯგუფურ მატრიცაზე მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება ინფორმაციის ორგანიზება- რეორგანიზაციაში;

- წყვილში განხილვა: ეს არის მოსწავლეების მიერ იდეებისა და მოსაზრებების წყვილში გაზიარება. ამ ტექნიკის გამოყენება ავითარებს მოსწავლის მეტაკოგნიციას. ის მასწავლებელს წარმოადგენს უქმნის თუ რამდენად სიღრმისეულად იცნობს ან იაზრებს ჯგუფი მოცემულ თემატიკას.

წყვილში განხილვის ერთ-ერთი ალტერნატივაა წყვილში პრობლემის გადაჭრა. ამ მეთოდი გამოყენების დროს მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს პრობლემის გადაჭრის მათეულ ხედვას. მას შემდეგ, როცა მასწავლებელი დაასახელებს პრობლემას, მოსწავლეები გააკეთებენ ჩანაწერებს და ფიქრობენ პრობლემის გადაჭრაზე. შემდეგ კი უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გეგმებს. ამ ტექნიკის გამოყენებით მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ,მიიღონ გამოცდილება ჩამოაყალიბონ თავიანთი იდეები, პრეზენტაციის დროს, განივითარონ თანმიმდევრულობა, გამოავლინონ თავიანთი ნაკლოვანებები ან დამატებითი ცოდნის/ინფორმაციის საჭიროება. მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეთა აზროვნებისა და მსჯელობის უნარს.

ურთიერთსწავლება: მოსწავლეები ირგებენ მასწავლებლის როლს ჯგუფებში. ისინი ერთობლივად კითხულობენ ტექსტს და შემდეგ ინაწილებენ მასალას სწავლებისთვის. ყველა მოსწავლე ირჩევს მისთვის სასურველ სწავლების მეთოდს (ჯგუფური განხილვა, მასალის შეჯამება, კითხვების დასმა, საკითხის გარჩევა). ამ დავალების შესრულებისას მოსწავლეებს გადაეცემათ მასალა წყაროები, დამატებითი სტატიები, ხელნაწერები, არტეფაქტები, და ასე შემდეგ. ამ ტექნიკის გამოყენებით მოსწავლეებს უვითრდებათ პირველწყაროებთან მუშაობის, და კრიტიკული მიმოხილვის ანალიზის უნარი. მასწავლებლის როლის მორგება მასალის ახლებურად რეკონსტრუირებას უწყობს ხელს.

თანამშრომლობითი სწავლის მრავალი ტექნიკა არსებობს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შემოგთავაზეთ. თანამშრომლობითი სწავლის მეთოდის გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეების ინტერესი და საჭიროებები.

§4. თანამშრომლობითი სწავლება - ერთობლივი თანადროული მუშაობა ონლაინსივრცეში

ონლაინ სასწავლო გარემო გვთავაზობს თანამშრომლობითი სწავლების საშუალებებს. ცოდნის ერთობლივი შექმნის პრინციპი, ინფორმაციის ერთობლივი ფორმირება - ხელს უწყობს უკეთეს სწავლებას და სასურველი შედეგის მიღწევას. ცოდნის ონლაინრეჟიმში გაერთიანება მნიშვნელოვანია სწავლისათვის, რადგან ცოდნის შექმნის პროცესის ყოველი ნაბიჯი დოკუმენტირდება და ამით უფრო თვალსაჩინო

ხდება. შემდგომში შესაძლებელია მისი ხელახლა ნახვა, ძველ იდეებთან დაბრუნება და მათი სხვა სახით გენერირება.

ცოდნის აგება ციფრული სწავლების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. მოსწავლეები ერთიანდებიან და აგებენ ახალ ცოდნას სხვადასხვა წყაროების გამოყენებით: წიგნების, ჟურნალების ან პირადი გამოცდილებისა და დაკვირვების გზით. კოლაბორაციული ციფრული სწავლება უადვილებს მასწავლებელსა და მოსწავლეს იდეების ერთად განხილვას. მნიშვნელოვანია იდეებისა და შედეგების გამოქვეყნება, პროცესის განმავლობაში მასზე უკუკავშირის მიღება და მათი ერთად განვითარება. ონლაინსერვისების გამოყენებით მასწავლებელი სასწავლო პროცესს ხდის გამჭვირვალეს.

თანამშრომლობითი სწავლების შესანიშნავი საშუალებებია: ონლაინდაფა, კედლის გაზეთი, გუგლის დოკუმენტი, პრეზენტაცია, სამგანზომილებიანი წიგნის შექმნა და სხვ.

ინსტრუქცია: ვირტუალურ სივრცეში კოლექტიური მუშაობისთვის. თემის ირგვლივ გასაშლელი საკითხების ჩამოწერის შემდეგ ვიწვევთ მოსაუბრეს, ვაკომენტარებთ, თვალყურს ვადევნებთ თითოეული მონაწილის მიერ შეტანილ ცვლილებებს საერთო დოკუმენტში, ვკითხულობთ აქცენტირებულად, ვაფასებთ. პედაგოგი მოსწავლეებთან ერთად საერთო დაფაზე მუშაობს პროექტზე, კვლევაზე, ხდება გონებრივი იერიში და უკუკავშირი. ამ ინსტრუმენტების საშუალებით შეგვიძლია იდეების სისტემატიზება, გრაფიკული კონსპექტის შექმნა, ინფორმაციის მოწესრიგება, დროის ხაზის შექმნა, ისტორიების თხრობა, საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაცია.

სასწავლო მიზანი: თანამშრომლობა, დისტანციური სწავლება, ჩქარი და მოქნილი აზროვნება.

აქტივობები ონლაინინსტრუმენტების ერთობლივი გამოყენებისათვის:

1. გამართეთ დისკუსია, კითხვა-პასუხი - მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, განსხვავებულ დავალებებს ასრულებენ და დაფის საშუალებით აჯამებენ.
2. შექმენით სასწავლო მასალა კონკრეტული გაკვეთილისთვის - სასწავლო გარემო, შპარგალკა მოსწავლისათვის
3. შეაჯამე ნასწავლი - ვთქვათ, სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში, ნასწავლ ტექსტებში, მოძებნა და განთავსება ღია სივრცეზე.

4. წარმოაჩინე და დასვი პრობლემური კითხვები, თავი მოუყარე მათ დავალების შესრულებისას

5. დაახარისხე ინფორმაცია, შექმენი სქემა, ცხრილი

6. შექმენი პრეზენტაცია,

7. დაწერე კედლის გაზეთი

8. შექმენი სამგანზომილებიანი წიგნი

9. მიიღე უკუკავშირი - მოსწავლე-მასწავლებელ-მშობელს შორის

10. მოაწყვე (ან ჩაერთე) ონლაინკონფერენცია, ვებინარი.

ფუნქციონალური შესაძლებლობები:

თქვენს საკონფერენციო დარბაზში იწვევთ მონაწილეებს, შეგიძლიათ გამოიყენოთ ვებკამერა, მიკროფონი, ჩართოთ სასაუბრო, შესთავაზოთ მოსწავლეებს სინქრონულად სასარგებლო ბმულებზე გადასვლა, სხვა ონლაინრესურსების მოძიება, თქვენი კომპიუტერიდან აწყობთ პირდაპირ ტრანსლაციას. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება შეკითხვით მოგმართონ, დაგიწერონ შეტყობინება სასაუბროში (ჩატში), გამოიყენონ საკუთარი ვებკამერა და გესაუბრონ პირდაპირი ტრანსლაციისას; შეგიძლიათ ვიდეო და აუდიომასალის, PDF დოკუმენტის ჩასმა, მისი დათვალიერება. შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს რეალურ დროში, სინქრონულად შესთავაზოს ვიქტორინა, კითხვარი და მომენტალურად შეაფასოს სემინარის დროს. ახალი გვერდების საშუალებით პედაგოგს შეუძლია რთული ინტერაქტიული კონსტრუქციის, მრავალსაფეხურიანი გაკვეთილების შექმნა, დისტანციური სწავლება.

დაფისათვის გამოყოფილ სივრცეში შეგიძლიათ ხატოთ, შეიყვანოთ ტექსტი, ატვირთოთ გამოსახულება ანოტაციისათვის. სერვისის საშუალებით შესაძლებელია პლანშეტზე შესრულებული ნახატების იმპორტირება, ინფორმაციის ერთობლივი დამუშავება ვიკი-კედლისგაზეთის საშუალებით, პრეზენტაციის შექმნა-ჩვენება, დისკუსია-მსჯელობა, მომენტალური უკუკავშირი.

სასწავლო პროცესს შემოქმედებით ხდის ინსტრუმენტები:

<https://trueconf.ru/> - ვიდეოკონფერენციისათვის

<http://wikiwall.ru> - კედლის გაზეთის შესაქმნელად

<https://te-st.ru/> - კვლევის, ვიდეოგაკვეთილის, ონლაინკურსის შესაქმნელად

Know Lounge - სერვისი ონლაინგაკვეთილის ჩასატარებლად

WebRoom - ონლაინშეხვედრებისთვის

Stoodle - სივრცის შექმნა დაფისათვის

Storyjumper - სამგანზომილებიანი წიგნის შესაქმნელად

§5. მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფის პრინციპები, ჰომოგენური და ჰეტეროგენური დაჯგუფება

ჯგუფური მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარია, რომლის განვითარებაც მოსწავლეებში ეფექტიან დაგეგმვასა და მუშაობის წარმართვას მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან.

იმისთვის რომ ჯგუფურმა მუშაობამ გააუმჯობესოს სწავლის ხარისხი და თავიდან აგვაცილოს მოსალოდნელი პრობლემები, სასურველია იგი დავყოთ 4 ფაზად: დაგეგმვის, წარმართვის, პრეზენტაციის და რეფლექსიის ფაზად.

თუ ამ თანმიმდევრობას დაიცავთ, მეტი გარანტია გვექნება, რომ მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც მაქსიმალურ აკადემიურ სარგებელს ნახავენ ჯგუფური მუშაობისგან.

გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ თემის დასაწყისში, რათა მოსწავლეებმა წინასწარ მოიფიქრონ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს შესასწავლ თემას, უშუალოდ საკითხის ჩაღრმავების მიზნით, ან თემის შესაჯამებლად.

თუ ჯგუფში, მუშაობის წესებს მასწავლებელი ერთხელ გასაგებად განმარტავს, შემდეგ მას კლასში ყოველთვის გამოიყენებს.

ჯგუფური მუშაობა, შეიძლება ითქვას, მოსწავლეებს ამზადებს რეალური ცხოვრებისათვის, სადაც სამსახურებში ადამიანებს ერთად უწევთ პრობლემების გადაწყვეტა. საინტერესო საკითხია პასუხისმგებლობის განაწილება. ჯგუფში მუშაობის უნარი შეიძლება კომპეტენციად ჩაითვალოს და გაკვეთილის მიზანიც კი გავხადოთ. დღევანდელ ყოველდღიურობაში სხვადასხვა ტიპის ადამიანები ცდილობენ ერთი მიზნის მიღწევას და ამას ვერ მოახერხებენ, თუ რომელიმე მათგანი მხოლოდ თავის თავზეა ორიენტირებული. ჯგუფში მუშაობა გვთავაზობს საკითხის სხვადასხვაგვარ

ხედვასა და განსხვავებულ არგუმენტებს. ამგვარად აფართოვებს თვალსაწიერს. კვლევებმა აჩვენა, რომ ჯგუფური მუშაობა, ისევე როგორც წყვილებში მუშაობა, უფრო შედეგიანია, როცა ჯგუფები ჰეტეროგენულია.

როგორ დავაჯგუფოთ მოსწავლეები?

- შემთხვევითობის პრინციპით - მოსწავლეები ამგვარ დაყოფას არ ეწინააღმდეგებიან, მაგრამ მასწავლებელს არ შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, მიიღებს თუ არა ჰეტეროგენულ ჯგუფს.

- მასწავლებელი გადაწყვეტს როგორ დააჯგუფოს, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეების მხრიდან წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად, მასწავლებელს მოუწევს ახსნა, რატომ გადაწყვიტა ასე და რომელ წევრისაგან რა წვრილს მოელის საერთო საქმეში.

- მოსწავლეები გადაწყვეტენ როგორ დაჯგუფდნენ, იმისდა მიხედვით ვის რომელი თემა აინტერესებს ან პირადი სიმპათიის გამო; ამგვარი დაჯგუფების დადებითი მხარე ისაა, რომ ჯგუფის წევრები მშვიდად და დაცულად გრძნობენ თავს, უარყოფითი კი ის, რომ სხვებთან ახლო კონტაქტის შანსს კარგავენ, ანდა ზოგიერთი მოსწავლე საერთოდ ჯგუფის გარეშე შეიძლება დარჩეს.

- მოსწავლეების უბრალოდ იმის მიხედვით გადანაწილება ჯგუფში, თუ ვინ ზის ერთმანეთთან ახლოს, არაა ჯგუფურად დაყოფა, ეს უფრო რალაც წრეს გავს, სადაც ისინი მიჩვეულ გარემოში მყუდროდ გრძნობენ თავს. კარგი ჯგუფი გულისხმობს განსხვავებული ასაკის, სქესის, წინარე ცოდნის, სხვადასხვა აკადემიური მოსწრებისა და კულტურის წარმომადგენლების ერთობლიობას.

- მაღალი და დაბალი აკადემიური მოსწრების მიხედვით: აქ საჭიროა სიფრთხილე, ასეთი ჯგუფების ხშირად ჩამოყალიბებამ ხელი არ შეუშალოს ცოდნის გაზიარებას და არ გააჩინოს აკადემიური ნაპრალი.

- განსხვავებული აკადემიური მოსწრების მქონე ჯგუფები სასურველია იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მოსწავლეს აქვს გაზიარებისა და ცოდნის ახალ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა.

ჯგუფის ზომა კი დამოკიდებულია დავალების შინაარსს, მიზანსა და კლასის წყობაზე. ალბათ ყველაზე აზრიანია 3-5 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი.

იმისთვის რომ ჯგუფურმა მუშაობამ ნაყოფიერად ჩაიაროს, საჭიროა წევრებმა გაიაზრონ, რომ უნდა გაერთიანდნენ და სამუშაოს ორგანიზება დამოუკიდებლად შეძლონ.

წ6. პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულების განვითარება მოსწავლეებში

მასწავლებლის ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის გაცემა არ არის, - ისინი ავითარებენ მოსწავლეთა უნარებს, ღირებულებებს, სკოლაში არსებულ ურთიერთობებს რომელიც ბავშვებს მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ.

მოსწავლეთა სწავლა (ან არსწავლა) დამოკიდებულია საგანთან ურთიერთობაზე, სხვა მოსწავლეებთან ურთიერთობაზე და მასწავლებელთან ურთიერთობაზე.

სასწავლო წლის დაწყების პირველივე დღეებიდან მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს პოზიტიური ურთიერთობის დასამყარებლად. ყველაზე მარტივია ამ ურთიერთობის ჩამოყალიბება დაწყებით კლასებში, რადგან ბავშვები მასწავლებელთან მთელ დღეს ატარებენ. შემდგომ ყველაფერი იცვლება, რადგან საგნების დაყოფის გამო მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთობის ხანგრძლივობა შეზღუდულია. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ცდილობდეს მოსწავლეებთან ორი მხარე დაიკავოს და მას ემსახურებოდეს:

- მასალის სწავლას;
- ურთიერთობის ჩამოყალიბებას

განვიხილოთ ურთიერთობის ტიპები:

მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულების გასაუმჯობესებლად საჭიროა ბევრი შრომა. ბავშვებს პატარა ასაკიდან ასწავლიან კეთილგანწყობას ადამიანების მიმართ, სიკეთეს მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს თვისებები იკარგება. აქ მოყვანილია რამდენიმე რჩევა ცუდი ურთიერთდამოკიდებულებების გასაქრობად;

- შევექმნათ კლასში დადებითი ენერჯია და ჩამოვყალიბოთ ქცევის წესები.
- ვამუშავოთ მოსწავლეები ჯგუფებად და მივცეთ უფლება ერთმანეთს პირადი ცხოვრებაზე ისაუბრონ.
- შევექმნათ კლასში ოჯახური გარემო, ვასწავლოთ ზრდილობიანი მიმართვა.

- მოვაწყოთ ექვსკურსიები, სპორტული თამაშები,

მოსწავლისა და საგნის ურთიერთობა. როცა საგანი საინტერესოა და თვალსაჩინოებით მრავალფეროვანია მოსწავლეები უკეთესად სწავლობენ, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელმა შეუქმნას დადებითი მოტივაცია. გთავაზობთ სტრატეგიებს რომელიც მასწავლებელს პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ეხმარება. მაგალითად ვკითხვით რა იცინა ამ საგანზე, ასევე ჩვენი ცოდნა გავუზიაროთ მათ ამ საგნის შესახებ, საინტერესო გავხადოთ ეს საგანი ექვსკურსიების მოწყობით, ჯგუფური სწავლებით, მოწვეული სტუმრებით.

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა. მასწავლებელმა მოსწავლესთან უნდა დაამყაროს თავიდანვე თბილი, მეგობრული, და მზრუნველობით აღსავსე ურთიერთობა. რადგან მასწავლებელი არ აღმოჩნდეს პრობლემის წინაშე და თავიდან აიცილოს ცუდი ურთიერთობა. ვესაუბროთ მოსწავლეებს ჩვენს შესახებ რათა უკეთ გაგვიცნონ. გთავაზობთ რეკომენდაციებს რომლებიც მასწავლებელს მოსწავლეებთან მეგობრული და მტკიცე ურთიერთობის დამყარებაში ეხმარება.

- გაიცანით თქვენი მოსწავლეები
- დააფასეთ თქვენი მოსწავლეები
- მოუსმინეთ თქვენს მოსწავლეებს, პატივი ეცით თქვენს მოსწავლეებს, გააბით კავშირი ოჯახთან.

მოსწავლისა და საგნის ურთიერთობა გავლენას ახდენს მოტივაციასა და სწავლაზე. მოსწავლეებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი დამოკიდებულება გავლენას ახდენს ჩვენს ხასიათსა და მოტივაციაზე. მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა, მნიშვნელოვანია მოსწავლეებზე გავლენის მოსახდენად. საჭიროა ასევე მასწავლებელსა და მოსწავლის ოჯახს შორის კარგი დამოკიდებულება.

§ 7. ჯგუფური მუშაობის პროცესი

თანამშრომლობითი სწავლის საფუძველი გუნდური მუშაობაა. ჯგუფში სხვადასხვა წარმომავლობის და შესაძლებლობის მოსწავლეები არიან გაერთიანებული. გუნდში მნიშვნელოვანი თითოეული მოსწავლის პასუხისმგებლობა და ჩართულობა.

მასწავლებელმა დავალება ისე უნდა შეადგინოს რომ ჯგუფის ყველა წევრმა შეასრულოს კონკრეტული ამოცანა.

ჯგუფური მუშაობის პროცესში მოსწავლეები უნდა წავახალისოთ და შეუქმნათ ისეთი პირობები რომ არ შეუშინდენენ შეცდომების, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, გააკეთონ აღმოჩენები. ჯგუფის წევრთა რაოდენობა 4-5 მოსწავლეს არ უნდა აღემატებოდეს. ამ მეთოდის დანერგვა კი მასწავლებლის მომზადებას და მოსწავლეთა მოქნილობას მოითხოვს.

საჭიროა შეფასების კრიტერიუმების დადგენა, კლასზე მონიტორინგი და სამართლიანი შეფასება, რათა მასწავლებელმა კლასზე კონტროლი არ დაკარგოს და ვერ უზრუნველყოს მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა.

ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია წესების შემუშავება და დაცვა. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მასწავლებლის უშუალო ჩარევის გარეშე საერთო მიზნის მიღწევა. ამისთვის აუცილებელია შევიმუშავოთ წესების ჩამონათვალი:

- ჯგუფური მუშაობისათვის საჭიროა ყველა ერთმანეთს დავებმართოთ და გავამხნევოთ,

- სხვისი აზრი ტოლერანტულად მივიღოთ
- მოვუსმინოთ და განვიხილოთ ერთმანეთის აზრი
- თავიდან ავირიდოთ პიროვნული უპატივცემლობა და შეურაცხყოფა
- არ გავრიყოთ ჯგუფის წევრი
- ყველამ მაქსიმალურად მივიღოთ მონაწილეობა
- არ გადავუხვიოთ თემასა და დავალების მიზანს
- განვიხილოთ და შევაფასოთ მოსალოდნელი პრობლემები
- ყველამ დავიცვათ წესები

შესასწავლი საკითხის კუთხით თუ შეხედავთ;

- შედეგი უნდა იყოს მეცნიერულად მართებული
- ყველამ უნდა იმუშაოს შეთანხმებული შედეგის მისაღებად და გააზრებულად

უნდა ესმოდეს იგი

- თემა უნდა დამუშავდეს სიღრმისეულად

- ყველამ უნდა მიიღოს სარგებელი ცოდნის, გაგებისა და გამოყენების მხრივ.

როგორ დავანაწილოთ პასუხისმგებლობები ჯგუფის წევრებს შორის? იმისთვის რომ ჯგუფური სამუშაო ნაყოფიერად წარიმართოს, საჭიროა პასუხისმგებლობები გადავანაწილოთ: ვინ წარმართავს დისკუსიას, განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას, დაიცავს დროის ლიმიტს, უზრუნველყოფს წესების დაცვას, გაფორმებას, პრეზენტაციას. სასურველია სხვადასხვა დროს ყველამ განსხვავებული პასუხისმგებლობა აიღოს. ასევე მნიშვნელოვანია შესრულებული სამუშაოს წარდგენაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა. აჯობებს, თუ ჯგუფი სამუშაოს დასრულებისას გადაწყვეტს, ვინ რომელ ნაწილს წარადგენს, რათა ჯგუფის წევრები ბოლომდე მოტივირებული იყვნენ. აუცილებელია ჯგუფური მუშაობის დაწყებინებისთანავე შევამზადოთ მოსწავლეები. მაგ.: ყველა მოსწავლე 5 წუთის გამნავლობაში ჩამოწერს წესებს, როგორ სურს ჯგუფში მუშაობა. შემდეგ მოსწავლეები გაერთიანდებიან მცირე ჯგუფებში-ტრიადებში, სადაც ჩამოაყალიბებენ მაგ 7 ოქროს წესი ჯგუფში მუშაობისას. ყოველი 2ტრიადა ერთიანდება და შეაჯერებენ ნამუშევარს (მაქსიმუმ10) 10 ოქროს წესი ჯგუფში მუშაობისას. ამ შედეგს განიხილავენ კლასში და საბოლოო 5-7 ან 10 წესს ჩამოაყალიბებენ.

ფუნქციების დანაწილება - პასუხისმგებლობები:

- ვინ წარმართავს დისკუსიას;
- ვინ განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას;
- ვინ დაიცავს დროის ლიმიტს;
- ვინ უზრუნველყოფს წესების დაცვას;
- ვინ გააფორმებს პრეზენტაციას.

ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად მიიღებს ბარათს, რომელზედაც წერია მოსწავლეთა პასუხისმგებლობები და განმარტავს, რომელი პასუხისმგებლობა რა სამუშაოს შესრულებას გულისხმობს. შემდეგ მოსწავლეები 5-კაციან ჯგუფებში მუშაობენ და ერთობლივ ნამუშევარს ვგთავაზობენ.

რა პრობლემა შეიძლება წარმოიშვას კლასში? ჯგუფში ყოველთვის იქნება ჯგუფისა და პირად ინტერესთა კონფლიქტი, რაც დადებით მხარედაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საჭირო გახდება საუკეთესო გამოსავლის პოვნა.

მნიშვნელოვანია რომ ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებმა ერთად შეიმუშაონ ჯგუფში მუშაობის წესები. მათ უნდა ისწავლონ: მუშაობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის პრინციპები, ასევე პასუხისმგებლობის აღება საკუთარ სამუშაოზე. ჯგუფში მუშაობა შეესაბამება ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებებს. თითოეულ მონაწილეს უხდება კამათი და საკუთარი აზრის არგუმენტირება. ეს ხელს უწყობს სოციალური ფიქრის, დამოკიდებულებებისა და ქცევის ჩამოყალიბებას. კარგად ორგანიზებულ ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეები პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს ხედავენ სოციალურ კონტექსტში, რაც მათ ერთმანეთზე მიკუთვნებულობის გრძნობას უჩენს და ასე ვითარდება გუნდურობის სული. ჯგუფური მუშაობა საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა მრავალი განსხვავებული როლი პირადი იმედგაცრუების გარეშე მოირგონ. თვით გაუბედავი მოსწავლეებიც კი თავს დაცულად გრძნობენ და საშუალება ეძლევათ გამოთქვან აზრი, უჩნდებათ საკუთარი საჭიროების შეგრძნება.

უარყოფითი გამოცდილება შეიძლება იყოს შემდეგი;

- ჯგუფში მუშაობის წესები გაუგებარია, ან მასალა არასაკმარისია
- გარემო შეუსაბამოა.
- მასწავლებელმა უნდა დააკვირდეს მოსწავლის ჯგუფში ჩართულობას და განსაზღვროს აქტიური და პასიური მოსწავლეები.
- როცა მოსწავლე ზარმაცობს შედეგი არასასურველია.

როგორია მასწავლებლის როლი ჯგუფურ მუშაობაში? იგი არის ინიციატორი, ინფორმატორი, მასტიმულირებელი, შემფასებელი. მასწავლებელი აკვირდება ჯგუფურ მუშაობას და საკუთარ თავს უსვამს შეკითხვებს.

- ხომ არავინ დომინირებს ჯგუფში, სხვები კი მხოლოდ მისი დამხმარეები არიან?
- ვინ ეძებს მასწავლებელს, რათა დაეხმაროს?
- ხომ არავინ გარიყეს?
- ვინ ვერ ახერხებს ურთიერთობას? და ასე შემდეგ
- იმისთვის რომ მოსწავლემ არ განიცადოთ იმედგაცრუება, მასწავლებლის მხრიდან გასათვალისწინებელია: შეესაბამება თუ არა დავალება ჯგუფში მუშაობის სპეციფიკას, ხომ არაა ძალიან მარტივი?

ჯგუფური სამუშაოსათვის უმჯობესია ავირჩიოთ შემდეგი ტიპის დავალებები:

- დავალებები, რომელიც რაიმეს შემოწმებას, ან რჩევების მიცემას ითვალისწინებს.

- დელიკატური საკითხები, რომლებსაც ერთმნიშვნელოვანი ახსნა არ აქვს;
- კომპლექსური დავალებები
- გონებრივი იერიშით გადასაწყვეტი დავალებები
- მოზაიკის ტიპის დავალებები
- დავალებები, რომელიც კონკურენციას გულისხმობს
- ჯგუფზე ორიენტირებული როლური დავალებები.

შეფასება

შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციის ხარისხი და შინაარსი. სასურველია მასწავლებელმა ჯგუფს მისცეს წერილობითი ან ზეპირი განვითარებული შეფასება, სადაც ასახავს ჯგუფის მუშაობაზე მისი დაკვირვების შედეგებს. წევრების ინდივიდუალურ შეფასებას მაშინ აქვს აზრი, როცა მათ ცალცალკე განსხვავებული დავალებები აქვთ მიცემული. შესაძლებელია ჯგუფის საერთო შეფასებას გავლენა ჰქონდეს წევრთა შეფასებაზე.

წმ. თანამშრომლობითი სწავლის მეთოდები


ცნება მეთოდი” სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს. სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციის გასავითარებლად. სწავლების მეთოდის შერჩევას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რას გააკეთებს. სწორედ შედეგზეა დამოკიდებული როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდებიც.

სეგმენტური მეთოდი არის თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება ჯგუფური პასუხისმგებლობის განვითარებაში.

სეგმენტური მეთოდი მიმდინარებისას კლასი იყოფა ოთხ-ხუთ კაციან ჯგუფებად. მათ გადაეცემათ მუშაობისთვის საჭირო რესურსი,

. ფორმატი იყოფა სეგმენტებად – ერთ ცენტრალურ და რამდენიმე გარე სეგმენტად

იხ. ქვემოთ მოცემული გრაფიკული გამოსახულება:



ჯგუფის წევრები იღებენ მასწავლებლისგან ერთსა და იმავე ან სხვადასხვა დავალებას და საკუთარ იდეებს მათთვის განკუთვნილ სეგმენტში აღწერენ. შემდეგ ეცნობიან ერთმანეთის ნააზრევს და ტოვებენ კომენტარებს თუ საჭიროდ მიიჩნიეს.

შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს დისკუსია, იბადება ახალი იდეები. საბოლოოდ კი ჯამდება იდეები და ფიქსირება ცენტრალურ სეგმენტში სადაც ჯგუფის ყველა წევრმა ხელი მოაწერა.

მეთოდების თეორიული დახასიათება.

სეგმენტური მეთოდის საშუალებით ბავშვებს შანსი აქვთ ისწავლონ ძველი და ახალი თემების შედარება და ახალი ინფორმაციების შეგროვება. ამ დროს მათთვის ადვილდება დასკვნების გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება და ასე შემდეგ. სწორედ ასე ხდება მოსწავლე აქტიური სწავლის პროცესში. ეს მეთოდი ემსახურება მოსწავლესა და მასწავლებლის წინარე ცოდნას და ამ ცოდნის გამოყენებას.

სეგმენტური მეთოდის გამოყენების შედეგი დამოკიდებულია მოსწავლეებზე, რადგან მნიშვნელოვანია მათი დამოკიდებულება საკითხების მიმართ.

სეგმენტური მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეებს უვითარდებათ წერიტი და ვერბალური კომუნიკაციის უნარები. ასევე სხვების ნააზრევს გაგებისა და შეფასების უნდარი.

მეთოდური კონპეტენციები

სეგმენტური მეთოდის გამოყენება ეფექტურია ზემოთხსენებული უნარების განსავითარებლად. ასევე ეს მეთოდი მოსწავლისგან მოითხოვს იყოს აქტიური მსმენელი, გაგაბენოს სხვებს საკუთარი მოსაზრება, განაალიზოს და ობიექტურად შეაფასოს საკუთარი და სხვისი იდეები.

მეთოდი ეფექტურია პრობლემის გადაჭრის გზების საპოვნელად. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც თემის შესწავლის დაწყებისას, როდესაც წინარე ცოდნას ააქტიურებს, ასევე შესწავლის პროცესში და შეჯამებისას. რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ჯგუფის მიღწევა. შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა ჯგუფსა და დისციპლინაში.

1. როლური თამაში

როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა. მოსწავლეები აქტიურდებიან როგორც გონებრივად ასევე ფიზიკურად. გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებებს და ემოციებს რაც მასალის ათვისებაში ეხმარება. სიმულაციის პროცესი მოსწავლეებისთვის სახალისოა და მაღალ სააზროვნო უნარებს უვითარებს. სიმულაცია არის რეალობის გათამაშება ადამიანების მიერ, რომელსაც როლურ თამაშს უწოდებენ.

როლური თამაშის ორ ძირითად ტიპს განასხვავებენ:

სპონტანური როლური და თავისუფლად ასოცირებული თამაშები, რომლებსაც მონაწილეები თამაშის დროს ქმნიან ფაანტაზიას და უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებული სცენარებით თამაშობენ.

რეგლამენტირებული როლური თამაშის დროს მოთამაშეები მყარი თამაშის წესს და თამაშის განსაზღვრულ საშუალებებს იყენებენ.

როლური თამაშის მიზანია:

ემპათიის/თანაგანცდის უნარის განვითარება, როლების გაცვლით ჯგუფის წევრების გრძნობებისა და ფიქრების გაზიარება, ეს კი მათ უვითარებს ემპათიის გრძნობას.

როლური თამაშის გამოყენებას სწავლების პროცესში აქვს როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური და ფსიქო-მოტორული მიზანი.

როლური თამაში გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ;

- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.
- კომუნიკაციის უნარების განვითარებას
- შესაძლო პერსპექტივების წარმოსახვას, ტოლერატობის გამომუშავებას , როლურ გათამაშებას და ინფორმაციის გადმოცემას. ასევე სოციალური კომპეტენციების გამომუშავებას.

როლური თამაშები შედგება სამი ფაზისგან: მომზადება, გათამაშება, განხილვა როლური გათამაშება მოითხოვს წინასწარ გათამაშებას როგორც მასწავლებლისგან ისევე მოსწავლისგან. მასწავლებელმა უნდა შეადგინოს სცენარი და განსაზღვროს მიზანი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს და ცოდნის დონეს. დეტალურად მიაწოდოს ინსტრუქცია სადაც დეტალურად იქნება აღწერილი თამაში მიზანი, წესი და შესრულების დრო. რა თქმა უნდა ააუცილებელია იყოს მარტივი და გასაგები ენით დაწერილი.

როლური თამაშის შეფასების კრიტერიუმებს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ადგენს, ეს უვითარებს მოსწავლეებს ობიექტური შეფასების უნარს. სასურველია ჯგუფს ყავდეს დამკვირვებელი, რომელიც შეაფასებს თამაშის მონაწილეებს შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შემდეგ მიმდინარეობს თამაშის მსვლელობა, თამაშის პროცესში მნიშვნელოვანია ჯგუფის წევრების ჩართულობა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნება. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ჯგუფის პასიური წევრები ჩავრთოთ თამაშში. თამაში მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით.

როდესაც მოსწავლეები გამოდიან როლიდან ისინი გამოხატავენ ემოციებს და განიხილავენ თემასთან დაკავშირებულ მიღებულ ცოდნას. გადმოსცემენ თუ რა ისწავლეს ამ თამაში დროს და რა უნარჩვევები შეიძინეს.

საბოლოოდ ერთად აჯამებენ შედეგებს. აუცილებელია როლური თამაშის სამივე ფაზის გამოყენება რათა ეს იყოს შედეგის მომცემი. მას რა თქმა უნდა აქვს დადებითი ეფექტები და სირთულეებიც

როლური თამაშების სასწავლო პროცესში გამოყენების დადებითი ეფექტებია; მოსწავლე ყოველთვის ხალისით ერთვება თამაშში; ამჟღავნებს ინტერესს და მაშინვე იღებს უკუკავშირს;

როლურ თამაშს აქვს შემდეგი სირთულეები:

მასწავლებელმა უნდა მიყვეს აუცილებლად როლური თამაშის წესებს რადგან მას არ გაუჭირდეს კლასის მართვა და კონტროლი. ამავდროულად მოსწავლეებსაც უნდა მოუწოდოს წესების დაცვისკენ. ასევე აუცილებელია წარმოსახვის უნარის განვითარება თავიდანვე რადგან მოსწავლეებს შემდგომ არ გაუჭირდეთ მათი შესრულება ან წარმოსახვა. რა თქმა უნდა მასწავლებელი შეხვდება, მოსწავლეთა ისეთ კატეგორიას რომლებსაც გაუჭირდებათ ემოციების გამოხატვა და საკუთარი აზრის დაფიქსირება. ამისთვის საჭიროა მათი წახალისება უმნიშვნელო თემაშიც კი. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს რომ არის კატეგორია ბავშვების რომლებსაც პირიქით როლიდან გამოსვლა უჭირთ და ნეგატიური გრძნობები უჩნდებათ. ამიტომაცაა მასწავლებლის მაქსიმალური ჩართულობა აუცილებელი. რთულია მუშაობა დიდ ჯგუფებთან ერთად რადგან მათი კონტროლი შეუძლებელი ხდება, ამის მოსაგვარებლად შეიძლება მოსწავლეთა დიდ რაოდენობას დამკვირვებლის როლი მიანიჭოს.

2. **ჯიგსოუს ტექნიკა** მრავალმა მეცნიერმა განიხილა და სხვადასხვაგვარად შეაფასა, მათ შორის იყო ერთ-ერთი მეცნიერი არსონი, რომელიც ამბობდა, რომ ეს ტექნიკა არის მხოლოდ და მხოლოდ მცდელობა, რომელიც მოგვცემდა შედეგს, იმისა რომ აღმოიფხვრებოდა კლასში რასობრიობა და შეიქმნებოდა თანასწორობა. საბოლოო ჯამში არსონმა შექმნა მეთოდური სისტემა, რომელშიც მეტი ყურადღება და დატვირთვა მოსწავლეებს დაეკისრებოდა.

ჯიგსოუს ტექნიკა შედგება შემდეგი ფაზებისაგან: პირველ რიგში შესავალი, შემდეგ თემების დამუშავება, გაღრმავება, გადაცემა და ბოლოს ამ თემის შემოწმება და შეფასება. განვიხილოთ თითოეული ფაზა. დავიწყოთ პირველი ფაზით: შესავალი, რომელშიც მონაწილეობას იღებს ექვსი მოსწავლე, გავითვალისწინებული უნდა იყოს ჰეტეროგენული სქესი, ფიზიკური და გონებრივი უნარები, რადგან ეს მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოიმუშავონ შემწყნარებლობა, თანამშრომლობა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა. ჯგუფში უნდა აირჩიონ ხელმძღვანელი, რომელიც ჯგუფს გაუწევს მობილიზებას და მოლკედ მიმოიხილავენ თემას, რომელზეც უნდა იმუშაონ ჯიგსოუს ტექნიკის მიხედვით.

შემდეგ გადავდივართ მეორე ფაზაზე, სადაც ვამუშავებთ თემებს ჯიგსოუს ჯგუფებს შიგნით. სანამ მოსწავლეები დაიწყებენ თემებზე მუშაობას, მანამდე წინასწარ ვანაწილებთ დასამუშავებელ თემებს მოსწავლეებზე, მაგრამ ისე უნდა გადავანაწილოთ თემები, რომ თითოეული თემა იყოს ერთნაირი სირთულის. მოსწავლეები თავიანთ თემის ნაწილს ამუშავებენ ინდივიდუალურად.

ჯიგსოუს მესამე ფაზაში მოსწავლეები დამუშავებული თემის ნაწილს უზიარებენ ერთმანეთს და სწორედ ეს ექსპერიმენტი ეხმარება მათ თუ როგორ გადასცენ დამოუკიდებლად მიღებული ცოდნა ჯგუფის სხვა წევრებს. ხოლო მეოთხე ფაზაში დანაწევრებულ თემის ნაწილებს აერთიანებენ და განიხილავენ ერთ მთლიანობად.

მეხუთე ფაზაში მოწმდება მოსწავლის მიერ დამუშავებული თემა, ვაფასებთ და ვპოულობთ იმ ხარვეზებს, რომელმაც იჩინა თავი მუსაობის პროცესში. ვეძებთ საშუალებებს თუ როგორ შეგვიძლია აღმოვფხვრათ ეს ხარვეზები.

3. პროექტი, როგორც მეთოდი, განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. ის არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანამშრომლობის, კვლევითი, შემოქმედებითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვას, კვლევას, პრაქტიკულ აქტივობასა და შედეგების წარმოდგენას არჩეული საკითხის შესაბამისად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სწავლა-სწავლება გახდეს აქტიური და მიზანმიმართული. როგორც ცნობილია, პროექტული მიდგომა საჭიროა მაშინ, როდესაც პრობლემაა გადასაჭრელი; პროექტი როგორც მრავალფუნქციური მეთოდი საშუალებას აძლევს პროექტის ავტორს, დეტალურად გამოწეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისკენ ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაო. პროექტი შეიძლება შესრულდეს: ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ერთი საგნის ფარგლებში; რამდენიმე საგნის ფარგლებში.

მომავალი თაობის თანამედროვე ცხოვრებისთვის მოსამზადებლად, სასკოლო განათლებას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. პროექტზე დაფუძნებული სწავლების

მეთოდი გულისხმობს კეთებით სწავლას, რაც ეხმარება მოსწავლეებს აქტიურად იყვნენ სწავლის პროცესში ჩართულნი. მოკლედ, შეგვიძლია ვთქვათ, პროექტზე დაფუძნებული სწავლება „ერთიანებს ცოდნას და კეთებას“, მოსწავლე ცდილობს იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები. პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს წინასწარ უნდა იყოს გაწერილი მიზანი, განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, მათი შესრულების ვადები, სასწავლო რესურსები, შედეგი, პროექტის აქტივობების შეფასების რუბრიკა, რაც მოსწავლეებს და მასწავლებელს დაეხმარება ნამუშევრების შეფასებაში.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობები შემდეგში მდგომარეობს: პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებისათვის ბევრად სახალისო და საინტერესო პროცესია, ვიდრე ტრადიციული, ლექციური ტიპის სწავლების მეთოდი, რაც მოსაწყენი პროცესია მოსწავლეთა უმრავლესობისთვის. მოსწავლეებს ეხმარება წარმოადგინონ სიტუაცია სიმულაციურად, იპოვონ მისი გადაჭრის გზები და სტრატეგია. ამ დროს შეიძლება მათ იპოვონ ჰობი, აღმოაჩინონ საკუთარ თავში ახალი უნარი, რაც დაეხმარება მათ მომავალი კარიერის დაგეგმვაში. ამ ტიპის სწავლება ავითარებს ინტერპერსონალურ უნარს, პროექტის განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ ინტერვიუს აღება, ატარებენ გამოკითხვას, ერთად აანალიზენ შეგროვებულ ინფორმაციას, ამყარებენ კომუნიკაციას პროექტის მონაწილეებთან. ცხოვრებისეული სიტუაციები პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას, უბიძგებს მათ საკითხს მიუდგნენ შემოქმედებითად.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება სცდება საკლასო ოთახს და საჭიროებს ახალი ინფორმაციის მოძიებას მის გარეთ, მოსწავლეებს უწევთ არსებული პრობლემის გადასაჭრელად მოიძიონ დამატებითი ახალი ინფორმაცია, გამოიტანონ დასკვნები და ჩამოუყალიბდეთ გარკვეული შეხედულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინტერესი და მათთან ერთად შევარჩიოთ განსახორციელებელი პროექტი, რომელიც მორგებული იქნება მათ ინტერესებზე. ეს პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის წინ გადადგმული ერთი ნაბიჯია. პროექტის განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი მომენტი პროექტის აქტივობების შეფასება, მოსწავლეთა შეფასება. სასურველია მასწავლებელმა წინასწარ გააცნოს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკები ან მოსწავლეებთან ერთად შექმნას ისინი.

კარგი იქნება თუ მასწავლებელი და მოსწავლეები შეხვდებიან იმ ადამიანებს, ვისაც შეუძლიათ საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ მოსწავლეებს პროექტის თემასთან დაკავშირებით, რათა მოსწავლეებმა მოისმინონ სხვა ადამიანების დამოკიდებულება ამ საკითხებთან დაკავშირებით.

პროექტის დასასრულს მოსწავლეები აჯამებენ პროექტის აქტივობებს და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს რა ისწავლეს ახალი და საინტერესო, რაც ბევრად უფრო საინტერესო პროცესია მოსწავლეებისთვის, ვიდრე გამოცდა. ტექნოლოგიების გამოყენება პროექტის განხორციელებისას ბევრად უფრო საინტერესოს და ადვილად აღსაქმელს ხდის პროექტის აქტივობებს, ვიზუალური სასწავლო რესურსი ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის აღქმაში და დიდხანს ამახსოვრდებათ ასეთი ინფორმაცია.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს უვითარებს დაკვირვების, მოძიების, კვლევის, პრეზენტაციის, კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარებს, ასევე გუნდური მუშაობის, ლიდერობის და პრობლემის გადაჭრის უნარებს.

4. გაგაცნობთ სწავლების ერთ-ერთ მეთოდს – **ინტერვიუ სამ ნაბიჯს**, აღნიშნული მეთოდი ბავშვებს ეხმარება ისეთ კომპენტენციების განვითარებაზე როგორცაა ყურადღებით მოსმენა, კომენტარის გაკეთება, შეფასება, საკუთარი სიტყვებით ანალიზი, შედეგობრივი კითხვა და სხვა.

მოკლედ მიმოვიხილოთ ზემოთ აღნიშნული მეთოდი: პირველ რიგში მოსწავლეები ირჩევენ ერთ კონკრეტულ საკითხს და აცნობენ მთელ კლასს. ხოლო ბავშვები წინასწარ ამზადებენ კითხვებს, რომელითაც უნდა იხელმძღვანელონ ინტერვიუს დროს. ამ ყველაფრის შემდეგ მოსწავლეები იყოფიან სამკაცრიან ჯგუფებად, ხოლო თითოეული მოსწავლე გამოდის რესპოდენტის, ინტერვიუერის და დამკვირებლის როლში. ამის შემდეგ პირველი ჯგუფი იღებს ინტერვიუს მეორე ჯგუფისაგან, ხოლო მესამე ჯგუფი აკეტებს ჩანაწერებს, რადგან ეს ჯგუფი დამკვირებლის როლშია. რადგანაც თითოეული მოსწავლე არის ყველა როლში, შემდგომში ხდება პირიქით და მეორე ჯგუფი იღებს ინტერვიუს მესამე ჯგუფისგან და პირველი არის დამკვირებელი, გრძელდება ასე მანამ სანამ ყველა მოსწავლე არ მოირგებს სამივე როლს.

აღნიშნული მეთოდს, ვიყენებთ, იმ პრობლემების მოგვარებისთვის, რომელიც აღმოჩნდა სასწავლო პროცესში და საშუალებას იძლევა მოსწავლეებს განუვითაროს

საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, ხოლო ეს უნარ-ჩვევები ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას. ასევე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტერვიუ სამი ნაბიჯი სოციალიზაციის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

5. ქეის-მეთოდი და დებრიფინგული გაკვეთილი. ქეის-მეთოდით (Case study) სწავლების ტექნოლოგია გულისხმობს რეალური ეკონომიკური, სოციალური, საყოფაცხოვრებო ან სხვა პრობლემური სიტუაციების აღწერის გამოყენებას (ინგლ. case ნიშნავს შემთხვევას).

ქეისთან მუშაობის დროს მოსწავლეები ახორციელებენ ცოდნის სხვადასხვა დარგიდან დამატებითი, მათ შორის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებული, ინფორმაციის ძიებას, ანალიზს. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს სთავაზობენ რეალური ცხოვრებისეული სიტუაციის გააზრებას. ამ სიტუაციის აღწერილობა ასახავს არა მხოლოდ რაღაც პრაქტიკულ პრობლემას, არამედ ხელს უწყობს ცოდნის იმ გარკვეული კომპლექსის გააქტიურებას, რომლის ათვისება აუცილებლობას წარმოადგენს მოცემული პრობლემის გადაწყვეტის დროს. ამასთან თვით პრობლემას არ გააჩნია ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა . ქეის-მეთოდის გამოყენების დროს პრობლემის ფორმირება და მისი გადაჭრის გზების ჩამოყალიბება მასალების პაკეტის (ქეისის) საფუძველზე ხდება. ქეისში მოთავსებული სიტუაცია აღწერილია სხვადასხვა წყაროების მეშვეობით: ეს შეიძლება იყოს სამეცნიერო, სპეციალური ლიტერატურა, სამეცნიერო- პოპულარული ჟურნალები, მას-მედია და სხვ. ქეისი მოიცავს არაერთგვაროვან ინფორმაციას გარკვეული პრობლემის ირგვლივ. ასეთი ქეისი ერთდროულად წარმოადგენს დავალებასაც და ინფორმაციის წყაროს ეფექტური მოქმედებების ვარიანტების გასააზრებლად. სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით ქეის-მეთოდი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რთული სისტემა, რომელშიც ინტეგრირებული არიან შემეცნების ნაკლებად რთული მეთოდები. მასში გაერთიანებული არიან: მოდელირება, სისტემური ანალიზი, პრობლემური მეთოდი, გონებრივი ექსპერიმენტი, აღწერის, კვალიფიკაციის, დისკუსიის, თამაშების მეთოდები და სხვ. დავალების სახით მოსწავლეს (ან მოსწავლეთა ჯგუფს) შეიძლება შევთავაზოთ მოხსენების, პროექტის ან კომპიუტერული პრეზენტაციის მომზადება. როგორც სწავლების ერთ-ერთი ინტერაქტიული მეთოდი, ქეის-მეთოდი უფრო და უფრო იპყრობს

მოსწავლეების პოზიტიურ დამოკიდებულებას, ისინი მასში ხედავენ თამაშს, რომელიც თეორიული საფუძვლების ათვისებას და მასალის პრაქტიკული გამოყენების დაუფლებას უზრუნველყოფს.

აღიარებულია ქეისზე მუშაობის სამი შესაძლო სტრატეგია:

1. მასწავლებელი კლასს აძლევს გადაწყვეტის გასაღებს დამატებითი კითხვების ან დამატებითი ინფორმაციის ფორმით.

2. განსაზღვრულ მომენტში მასწავლებელი თავად ერევა მსჯელობაში, ან გადაწყვეტილების მიღებაში.

3. მასწავლებელი არ ერევა პროცესში, მდუმარედ აკვირდება, სანამ მოსწავლეები პრობლემაზე მუშაობენ. უკვე სიტუაციის განხილვისას მასწავლებელს შეუძლია მოირგოს აქტიური ან პასიური როლი. ხანდახან ის დირიჟორობს განხილვას, ხანდახან დისკუსიის შედეგების შეჯამებით შემოიფარგლება.

ქეისზე მუშაობის ტექნოლოგია სასწავლო პროცესში მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მოსწავლეთა ინდივიდუალური, დამოუკიდებელი მუშაობა ქეისის მასალებზე (პრობლემის იდენტიფიცირება, საკვანძო ალტერნატივების ჩამოყალიბება, წინადადების ჩამოყალიბება გადაწყვეტის გზის ან რეკომენდებული მოქმედების შესახებ);

ბ) მუშაობა მცირე ჯგუფებად საკვანძო პრობლემის ხედვისა და მისი გადაწყვეტის გზების შესახებ ინდივიდუალური მოსაზრებების შეჯერება–შეთანხმებისთვის;

გ) მცირე ჯგუფების შედეგების პრეზენტაცია და ექსპერტიზა საერთო დისკუსიაში.

ქეისთან მუშაობის დროს მოსწავლეებს უყალიბდებათ: პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის, პრაქტიკაში საგნობრივი ცოდნის გამოყენების, მოლაპარაკების წარმოების, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების, რეფლექსიის უნარები, ტოლერანტობა.

სასწავლო პროცესში ქეის-ტექნოლოგიას შეუძლია ხელი შეუწყოს: სასწავლო მოტივაციის ამაღლებას; ინტელექტუალური უნარების განვითარებას, რომლებიც მოსწავლეებს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში გამოადგებათ.

საქმიანობის რეკომენდებული თანმიმდევრობა: ამოცანის ახსნა, ქეის-დავალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, გადაწყვეტილების მიღება, ალტერნატიული გზების ძიება, შედარებითი ანალიზი, გადაწყვეტილების პრეზენტაცია

მოსამზადებელი ეტაპი: ქეისის ადგილის განსაზღვრა სამუშაო პროგრამაში, წყაროს ძებნა, მეცადინეობის მსვლელობის აღწერა

გაცნობითი ეტაპი: სამუშაო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა, ოპტიმალური ფორმების არჩევა

ანალიტიკური ეტაპი: ჯგუფებში პრობლემების განხილვა, გადაწყვეტილების მომზადება

შემაჯამებელი ეტაპი: ქეისით განსაზღვრული დასრულებული დავალების წარმოდგენა, შედეგების დიაგნოსტიკა

დებრიფინგი. ინგლისური ტერმინი debriefing” ცოდნის გამოწურვას” ნიშნავს. ეს მეთოდი პერველად ჯეფრი მიტჩელმა გამოიყენა. დებრიფინგი გულისხმობს პროცესს, რომელიც უკუკავშირს მოიაზრებს. მისი მიზანია ანალიზის საშუალებით ინფორმაციის მიღება (ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ეს მეთოდი საერთოდ არ გამოიყენება; თუ იყენებენ – სხვა სახელით. ჩვენში უფრო პოპულარულია რეფლექსია” და დისკუსია” – საკამათო საკითხების განხილვა.)

რას გვამღევს ქეის-ტექნოლოგიის გამოყენება?

პედაგოგს მისი მეშვეობით შეუძლია: თანამედროვე სასწავლო-მეთოდური რესურსების ბაზაზე წვდომა; მოქნილი სასწავლო პროცესის ორგანიზება; გაკვეთილის ნაკლებ დროში მომზადება; კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება; სასწავლო პროცესის ზოგიერთი ელემენტის განხორციელება არასაკვეთილო დროს.

მოსწავლეს შეუძლია: დამატებით მასალაზე მუშაობა; კონსულტაციის ბაზაზე მუდმივი წვდომა; საატესტატო გამოცდებისთვის დამოუკიდებლად მომზადება; ჯგუფის სხვა წევრებთან ურთიერთობა; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლება.

6. **ღია სივრცის მეთოდი**- მოსწავლეთა მულტიკულტურული განათლების ფარგლებში და ნებისმიერი სახის ინტერაქციულ საქმიანობაში ჩართულობისთვის ეფექტური საშუალებაა ღია სივრცის” (Open Space) მეთოდი, რომლის ავტორია ჰარისონ ოუენი.

ამ ტიპის მიდგომა უნიკალურია იმით, რომ მონაწილეებს საშუალებას აძლევს, გააერთიანონ თავიანთი თეორიული, პრაქტიკული, სასწავლო, კულტურული მიზნები და გადაწყვიტონ პრობლემების დიდი რაოდენობა, თვითონ შეარჩიონ სტრატეგია, ჯგუფები და თვითონვე წარმართონ თავიანთი სამუშაო გრაფიკი. ტექნოლოგია გამოიყენება ახალი საგანმანათლებლო პროდუქტების, სასწავლო პროგრამების შექმნის, გამოცდილების გაზიარებისა და ინტეგრირებული კვლევებისთვის.

ღია სივრცის მეთოდის გამოყენება სახალხოდ გამართული დისკუსიაა, როცა მოსწავლეები საუბრობენ ღიად და აკეთებენ საკუთარ დასკვნებს. ამ დროს მოსწავლეები იყენებენ ახალი ამბების დაფას, რომელზეც წარმოადგენენ თავიანთ სამუშაოს გეგმას, რითაც განსაზღვრავენ ძირითად პრობლემებს, ასათაურებენ მას და წერენ ფურცელზე. ყველა, ვისაც სურს პრობლემის ღიად მოგვარება, გამოდის მრგვალი მაგიდის ცენტრში და გამოაცხადებს მას ხმამაღლა, შემდეგ კი ფურცელს მიამაგრებს დაფაზე. მონაწილეები შექმნიან სიას, ჩამოწერენ პრობლემებს განსახილველად და განაწილებიან სადისკუსიო ჯგუფებად. ჯგუფები მუშაობენ პარალელურ რეჟიმში. თითოეული მათგანი ჩამოწერს ძირითად თეზისებს და მიამაგრებს დაფაზე, რათა ყველას შეეძლოს, მუშაობის დროს გაეცნოს მეორე ჯგუფის სამუშაო ვერსიას. პატარა ჯგუფებში მუშაობის შემდეგ მოხდება კონვერგენცია – გაერთიანება თემების მიხედვით უფრო მსხვილ ჯგუფებად ყველაზე საინტერესო თემების ირგვლივ და გაგრძელება დისკუსია, სამუშაო დროის შეზღუდვის გარეშე. მუშაობის დასრულებისას გამოცდილებისა და შთაბეჭდილების გაზიარებისთვის ჯგუფები სხდებიან მრგვალ მაგიდასთან, განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს და შეაჯერებენ მოსაზრებებს. ჯგუფების თვითორგანიზება მაღალია, თითოეულ მოსწავლეს წარმოადგენილი და გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და პატივისცემა ჯგუფისა და მთელი ღონისძიების მიმართ. ტექნოლოგია იძლევა თვითორგანიზების საშუალებას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ორი ფეხის კანონი”, რომელიც გამოხატავს ძირითად იდეას და მზადყოფნას მის დასაცავად. პრაქტიკულად კანონი საშუალებას აძლევს მონაწილეებს, იმოძრაონ ჯგუფებს შორის. თუ მონაწილემ ერთ ჯგუფში ვერ მიიღო თავისთვის საინტერესო ინფორმაცია და არც თვითონ მოაქვს სარგებლობა ამ ჯგუფისთვის, შეუძლია გადავიდეს მეორეში, ანუ გამოიყენოს თავისი ორი ფეხი” იქ მოსახვედრად, სადაც მას დაეხმარებიან

და სადაც საკუთარი თავის რეალიზებას შეძლებს. ღია სივრცის (Open Space) ტექნოლოგიის გამოყენება მიზანშეწონილია განმაზოგადებელ გაკვეთილებზე, სემინარებსა და ცალკეულ გაკვეთილებზეც. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ყველა მასწავლებლის მიზანია, დააინტერესოს მოსწავლე თავისი საგნით, გაუღვივოს მისი დაუფლების სურვილი, სამკუთხედი მასწავლებელი-ტექნოლოგია-მოსწავლე” სწორედ ამის თვალსაჩინო დასტურია. ამ პროცესში, მასწავლებელი უნდა გახდეს არა მარტო პედაგოგი, არამედ მეთოდოლოგიც და ტექნოლოგიც, ხოლო მოსწავლე – ამ პროცესების აქტიური მონაწილე. სწავლის ტრადიციული ფორმების დროს მასწავლებელი ასრულებს ერთგვარი ფილტრის” როლს, რომელიც გაატარებს” ინფორმაციას თავის მიღმა, მაგრამ ინტერაქციული სწავლებისას ის დამხმარის” როლშია, რომელიც უბრალოდ ააქტიურებს” მოსწავლისკენ მიმართულ ინფორმაციულ ნაკადს. ამიტომ, როდესაც გაკვეთილებზე რომელიმე მიმართულება, პრობლემა გამოიკვეთება, შემდეგში მის ირგვლივ გაიმართება ღია სივრცის შეხვედრა. თითოეული მოსწავლე იმ პრობლემას წამოსწევს წინ, იმას დაუჭერს მხარს, რომელიც მისთვის ყველაზე მეტადაა საინტერესო და მნიშვნელოვანი და, საზოგადოდაც, იმუშავებენ მოცემული ტექნოლოგიის ჩარჩოთი.

§9. თანამშრომლობითი სწავლა და ინდივიდუალური დავალებები ჯგუფში

დავალება უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, მიზანი ერთმნიშვნელოვანი და ყველასთვის ნათლად გასაგები. უნდა განვასხვავოთ დახურული, ღია და თავისუფალი დავალებები.

დახურული დავალების დროს მასწავლებელი კონკრეტურად ეუბნება მოსწავლეებს, რა უნდა გააკეთონ: ააწყონ დაალაგონ და ა.შ ასეთი დავალება სასურველია მივცეთ საწყის ეტაპზე, სანამ მიეჩვევიან ჯგუფურ მუშაობას.

ღია ჯგუფური დავალებები, მიუხედავად მისი ღიაობისა, კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი, თუმცა აქ მეტი თავისუფლება აქვთ მოსწავლეებს, როგორ გადაჭრიან პრობლემას და როგორ წარმოადგენენ ნამუშევარს: (მაგ., რა შეიძლება გააკეთოს

ადამიანმა კალმახების დასაცავად?) ღია დავალებები სასურველია მივცეთ მას შემდეგ რაც, რამოდენიმეჯერ წარმატებით შეასრულეს დახურული ტიპის დავალებები.

თავისუფალი დავალებები გულისხმობს, მოსწავლეებს მივცეთ თავისუფლება აირჩიონ თემა, რაზეც დამატებით უნდა იმუშავონ და თვითონ გადაწყვიტონ, როგორ წარმოადგინონ ნამუშევარი. ასეთი ტიპის დავალებები კარგი ჯგუფური მუშაობის უნარის მქონე მოსწავლეებთან გაამართლებს.

როგორ ჩამოვყალიბოთ დავალება ჯგუფისათვის?

საჭიროა დავფიქრდეთ:

- ფლობენ თუ არა მოსწავლეები სამუშაოს შესასრულებლად საჭირო კონპენტეციებსა თუ წინარე ცოდნას?

- რა დამოკიდებულება, წინასწარი განწყობა აქვთ ჯგუფური მუშაობისადმი ?
- ხომ არაა საჭირო გავითამაშოთ დისკუსიის წარმართვის წესები?
- გაითვალისწინეთ თუ არა დროისა და სივრცის მოწყობის ფაქტორი?

ეცადეთ კლასი ისე მოაწყოთ, რომ ჯგუფის წევრებს ახლო კონტაქტი ჰქონდეთ ერთმანეთთან და წინ და გვერდზეც კარგად ხედავდნენ. სასურველია, ეს წყობა ფრონტალური გაკვეთილის ჩატარების საშუალებასაც იძლეოდეს.

პროდუქტი. ჯგუფების ნამუშევრები სასურველია მეთოდურად მრავალფეროვნად იყოს წარმოდგენილი: წერილობით, კედლის გაზეთი /ფლაიერი, პორტფოლიო, აუდიო, ვიდეო მასალა, ინტერვიუ ექსპერტებთან, კოლაჟი, დისკუსიები, მოდელები, როლები, პრეზენტაცია

უკუკავშირი. სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს იმპულსს აძლევს მეტაკომუნიკაციისთვის. მოსწავლეები უნდა დავაფიქროთ და ვამსჯელოთ ჯგუფურ მუშაობაზე, რა და როგორ შეასრულეს, არა მარტო შინაარსობრივად, არამედ სოციალური ურთიერთობების დონეზე, რათა გააცნობიერონ, როგორ იურთიერთონ მომავალში უკეთესი შედეგის მისაღწევად.

§10. ჰოლისტური შეფასება.

შეფასების სქემა არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლის აკადემიური მოსწრება.

მოსწავლეების პროექტები, პრეზენტაციები, კვლევები ფასდება შეფასების რუბრიკით. რუბრიკას ვიყენებთ მოსწავლეების ნამუშევრების ობიექტურად და თანმიმდევრულად შეფასებისთვის.

შეფასების რუბრიკა შედგება შემდეგი სამი ძირითადი კომპონენტისაგან: სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები, შეფასების სკალა, შეფასების სკალაზე გადანაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები. ჩამოთვლილი ელემენტების მიზანია მისთვის განკუთვნილი მიღწევების სწორი აღწერა და ამ აღწერის სწორად გადანაწილება შეფასების სკალაზე. განხილული რუბრიკა ხელს უწყობს, როგორც მასწავლებლების შეფასებას, ასევე მოსწავლეების თვითშეფასების უნარის განვითარებას. ფაქტია, რომ შეფასების რუბრიკა გვიადვილებს ისეთი ინფორმაციების მოძიებაში, რომელიც გვეხმარება აკადემიური პრობლემებისა და სირთულეების აღმოჩენაში და აღმოფხვრაში.

ჩვენ შეფასების რუბრიკას ვყოფთ კატეგორიებად, კატეგორიზაცია კი ორი ძირითადი მახასიათებლით ხდება: კრიტერიუმის წარმოდგენის ფორმა და რუბრიკის შინაარსი. აქვე ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ანალიტიკური და ჰოლისტური ტიპები.

გაავანლიოთ თითოეული რუბრიკა. გამომდინარე აქედან ანალიტიკურ რუბრიკაში რამოდენიმე კრიტერიუმია, ამ კრიტერიუმებში მიღწეული დონეების აღწერილობაა ნაჩვენები, ხოლო ჰოლისტურ რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმები ერთ მთლიანობას წარმოადგენს და შესაბამისად დონეების მიხედვითაა წარმოდგენილი.

მოსწავლეების ნამუშევრების შეფასების წარმატებული ინსტრუმენტი ანალიტიკური რუბრიკაა. ეს აძლევს მოსწავლეებს დანწვტილებით ინფორმაციას შესასრულებელი დავალების შესახებ. გამომდინარე აქედან, ანალიტიკური რუბრიკა განმავითარებელი შეფასების მთავარი კომპონენტია, მაგრამ აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გამსაზღვრელ შეფასებისთვისაც შეიძლება იყოს ეფექტური. ანალიტიკური რუბრიკა, ასევე მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ სხვადასხვა შემფასებლის შემთხვევაში შეფასება იქნება ერთნაირი.

ანალიტიკურ რუბრიკას ბევრი დადებითი მხარეები აქვს, მაგრამ დადებითთან ერთად რამდენიმე უარყოფითი მხარეც აქვს. მაგალითად: მის შესაქმნელად დიდი დრო, ენერჯია და გამოცდილებაა საჭირო. რუბრიკა უნდა იყოს მოკლედ ჩამოყალიბებული, რადგან ყველა მოსწავლე გულდასმით წაიკითხოს. ახლა კი წარმოვადგენ ანალიტიკურ რუბრიკის ნიმუშს, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ, არა ერთი რომელიმე ნამუშევრის ან დავალების შესამოწმებლად, არამედ მოსწავლეების აქტივობისა და ურთიერთთანამშრომლობის შეფასების მიზნით. რუბრიკა ეფექტურია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების დროს.

ცხრილი 1. მოსწავლეების საკლასო შეფასება (ანალიტიკური რუბრიკა)

კრიტერიუმი	არადამაკმაყოფილებელი (1 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (2 ქულა)	კარგი (3 ქულა)	ცუდი (4 ქულა)
ჩართულობა	არ მონაწილეობს აქტივობებში, ან მონაწილეობს ძალიან იშვიათად.	იშვიათად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი მხოლოდ ზოგიერთ აქტივობაში.	აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი აქტივობების უმრავლესობაში	შეაქვს მნიშველოვანი წვლილი ყველა აქტივობაში
თანამშრომლობა	არ თანამშრომლობს ან ძალიან იშვიათად თანატოლებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	იშვიათად თანამშრომლობს თანატოლებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	ხშირად თანამშრომლობს კოლეგებთან წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	ყოველთვის თანამშრომლობს წყვილებში ჯგუფებში მუშაობის დროს.

ჰოლისტური რუბრიკის ეფექტური და დადებითი მხარე ისაა, რომ ცოტა დროს მოითხოვს მისი შედგენა და თან ამავდროულად მარტივია. მაგრამ ჰოლისტური რუბრიკა ანალიტიკური რუბრიკისგან განსხვავებით მცირე ინფორმაციულია,

მოსწავლეები ვერ იღებენ საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ თუ სამუშაოს რომელ ნაწილში მიღო დადებითი ან უარყოფითი შეფასება, ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ განსაზღვრავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, რადგან შეფასება მხოლოდ და მხოლოდ ნიშნის დაწერას ეფუძნება და მოსწავლეებმა საერთოდაც ვერ ნახულობენ მათ ნამუშევრის ყველა კომპონენტის შეფასებას. ახლა კი გიჩვენებთ ჰოლისტურ რუბრიკას, რომლის მიზანია საშინაო დავალების ეფექტური შეფასება.

ცხრილი 2. საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა (ჰოლისტური)

არადამაკმაყოფილებელი (1 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (2 ქულა)	კარგი (3 ქულა)	ცუდი (4 ქულა)
მოსწავლე ვერ ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას	მონაწილე ნაკლებად ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას, მოჰყავს, სულ მცირე, ერთი მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან, უჭირს თავისი მოსაზრებების არგუმენტირებულად დასაბუთება.	მონაწილე მეტწილად ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას, მოჰყავს, სულ მცირე, ერთი მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან, ძირითადად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად	მონაწილე სრულად ავლენს წაკითხული მასალის ცოდნას. მოჰყავს მაგალითები საკუთარი პრაქტიკიდან, ასაბუთებს თავის მოსაზრებებს არგუმენტირებულად

ზემოთხსენებული რუბრიკების გარდა, არსებობს სხვა მრავალი რუბრიკები, რომლებსაც პედაგოგები ეფექტურად იყენებენ სამუშაო პროცესში. მისი გამოყენება თვით პედაგოგამ უნდა განსაზღვროს მიზნებისა და საჭიროების მიხედვით. დროის განსაზღვრული მონაკვეთის განმავლობაში შეფასების ერთი და იმავე სქემის სისტემატური გამოყენება და შედეგების შედარება მოსწავლის განვითარების ეფექტური საშუალებაა. სასურველია, მასწავლებელმა შეფასების სქემის შექმნის პროცესში ჩართოს მოსწავლეებიც. ეს მათ უკეთ დაანახებს, რას ითხოვენ მათგან.

მოსწავლეთა შეფასება საკმაოდ ფაქიზი თემაა. შეფასების პრინციპების დაცვა შეფასების პროცესს უმტკივნეულოს ხდის. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის განცდა ჩამოუყალიბდეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ახალი მეთოდები და რეკომენდაციები, რასაც გვთავაზობს თანამედროვე განათლების სისტემა, ნამდვილად ეფექტურია და მოსწავლეთა საჭიროებებს მორგებული. თუ პედაგოგები ამ ახალი მიდგომით იხელმძღვანელებენ, შეძლებენ ნებისმიერ სასურველ შედეგზე გასვლას, რასაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა. ოცდამეერთე საუკუნეში, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებს უჭირთ თვითრეალიზაცია და საკუთარი თავის დამკვიდრება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია სკოლაში მასწავლებლის როლი, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს სოციალური და პიროვნული უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

- მასწავლებელი დიდი როლს თამაშობს თანატოლებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში და თანამშრომლობითი უნარების განვითარებაში.

- მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში თანამშრომლობითი სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, როგორცაა ჯგუფური მუშაობა, ქეის-მეთოდი, პროექტი, ინტერვიუ სამი ნაბიჯი, ღია სივრცის მეთოდი და სხვა ის მეთოდი, რომლებიც სწავლას უფრო ეფექტურსა და საინტერესოს ხდის.

- მასწავლებლებმა ყოველთვის უნდა იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე, ჩართულები უნდა იყვნენ სხვადასხვა პროფესიულ განმავითარებელ საქმიანობებში. როგორც სკოლის ბაზაზე, ისე სკოლის გარეთ.

- პედაგოგებმა პროფესიული ცოდნა უნდა გამოიყენონ ეფექტურად თავიანთი პედაგოგიურ საქმიანობაში, ასევე მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესში, თანამედროვე მეთოდებისა გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობით სწავლას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა, გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი, 2010.
2. თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები ჯიგსოუს ტექნიკა (სოფიკო ლობჯანიძე, გვ 70-77).
3. ლობჯანიძე ს. თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები- ჯიგსოუს ტექნიკა მასწავლებლის წიგნი 5, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016
4. რობერტ ჯ. მარზანო და სხვ. გვ 100-11 წიგნი ეფექტური სწავლება სკოლაში, თავი 7-ის მიხედვით თანამშრომლობითი სწავლა.
5. ლობჯანიძე ს, გვ 6 მასწავლებლის წიგნი ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები ინტერვიუ3 ნაბიჯი.
6. ლობჯანიძე ს., გვ 115-123 მასწავლებლის წიგნი ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში” მიხედვით: თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები სემინტური მეთოდი”.
7. ტყემალაძე რ. დალაქიშვილი, ნ. თოფაძე ქ, პაჭკორია თ. ბუწაშვილი თ. სწავლება და შეფასება”. დამხმარე სახელმძღვანელო; რედ(ნაცვლიშვილი ნ. გორგოძე ს.). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი 2009წ.
8. ხალვაში ხ., ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა/სწავლებისათვის”, თბილისი, 2020
9. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, ისტორია <http://ncp.ge/ge/curriculum?subject=38&subchild=199&pos=900>
10. ჭყიძე თ., დამოუკიდებელი სწავლის უნარები და მათი განვითარება, 2013. <http://mastsavlebeli.ge/?p=2181>
11. ბოჭორიშვილი მ., სწავლა და კლასში არსებული ურთიერთობები 2013 <http://mastsavlebeli.ge/?p=2193>
12. ნეფარიძე თ. ინტერნეტგაზეთი www. Mastsavlebeli.ge თანამშრომლობითი სწავლა- სწავლება <http://mastsavlebeli.ge/?p=2342> 12 ივნისი, 2013

13. ედიშერაშვილი ნ., შეფასების რუბრიკების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში და მათი ტიპები 2016 <http://mastsavlebeli.ge/?p=11982>
14. ლობჯანიძე ს, შურღაია ა., როლური თამაში _ თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი,
http://mastsavlebeli.ge/?p=2541&fbclid=IwAR1HS03a-cI-aXFYbqYgBKI-n36od0J2Uobx0P5EMHHQ_C9vYNkQ8zrNMc
15. ოსიაშვილი ქ. კონკურენტული სწავლება და თვითშეფასება. 2016
<http://mastsavlebeli.ge/?p=10622>